№ 20. წლიწადი პირველი

7 ნოემბერი

ფასი ყველგან 15 კაპ.

F221
1929

# დროშა





ასტრახანის ლენინის სახელობის სარეწაოში მუშა ქალები თევზის ბუშტებისაგან აკეთებენ ხელოვნურ მარგალიტს.



იაპონიაში უმეტეს წილად მოჰყავთ ბრინჯი, რომელსაც დიდი შრომა სჭირდება. ბრინჯი მოდის ჭაობიან და ნესტიან ადგილებში, რის გამო მუშები მალარიით ავადმყოფდებიან.



ამ წელიწადს მოხდა მესამე უდიდესი მსოფლიო გადაფრენა. გადაფრენაში მონაწილეობას იღებდნენ წითელ არმიის კომანდირები, გადაფრენის მანძილი 4.875 კილომეტრი. სურათზე ესკადრილიის კომანდირი, მფრინავი კოზლოვი და მზვერავი დახილინი.



მოსკოვის ზოოპარკში ცის ქვეშ გამართულია ესტომოპარკი, სადაც დაკვირვების მიზნით მოშენებული ჰყავთ სხვა და სხვა მწერები. სურათზე ჭიანჭველები ხელოვნურად გაკეთებულ ხიდზე გადადიან კუნძულზე.



მოსკოვში პროფკავშირების წარმომადგენლები ზეიმით შეხვდნენ



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

ღ-76

# მეცამეტე წლის მიჯნაზე

12 წელიწადი მოვიტოვეთ უკან. 12 დიადი წელიწადი—ჯერ ძალაუფლებისათვის ბრძოლის, სამკვდრო-სას ცოცხლო ბრძოლის შინაურ კონტრ-რევოლიუციასთან და გარეშე ინტერვენტებთან, შემდეგ დანგრეული სახალხო მეურნეობის, აღდგენის მძიმე წლები და ოქტომბრის რევოლიუციის მეცამეტე წელში შევდივართ სოციალიზმის მშენებლობის გაშლილი ფრონტით.

ოქტომბრის რევოლიუციის პირველი დღიდან დაწყებული ყველა ჯგუფის კაპიტალისტების თეთრგვარდიელები და „სოციალისტები" დაუღალავად წინასწარმეტყველებდნენ ბოლშევიკების დამხობას „დღეს თუ არა ხვალ მაინც". ამ იმედით ცხოვრობდენ ისინი მთელ რიგ წლების განმავლობაში. და აი ახლა მათთვისაც ცხადი ხდება, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამხობაზე ოცნებობა ფუჭია.

ჩვენი მტრები ბურჟუაზიული ბანაკიდან იძულებული არიან აღ არონ ჩვენი უდავო მიღწევები სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე.

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის მოსკოველი კორესპონდენტი პ ა უ ლ შ ე ფ ე რ ი ჩვენს ხუთწლიან გეგმას უწოდებს „უდიდეს და მრავალმხრივ უთანამედროვეს სამეურნეო-პოლიტიკურ ექსპერიმენტს".

„საბრალო ბებერი ევროპა!—სწერს შეფერი,—თუ ეს ცდა გამართლდა თუ გინდ მხოლოდ ორი მესამედით, მაშინაც კი არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ მის გამარჯვებაში. ეს იქნებოდა სოციალისტური მეთოდის გამართლება...

გეგმა წარმოადგენს უდიდეს, ყველა საშიშროებისათვის დაპირისპირებულ თავდაცვითი ღონისძიებას, სოციალისტური იდეის დაუბრკოლებელი განხორციელების დ საყრდენს... რა მოხდება, თუ საბჭოთა ხუთწლედი მიიღებს ისეთ ხასიათს, რომ მთელი ქვეყნიერების მასები დარწმუნდებიან ფულის მოსპობის შესაძლებლობაში"!

შეფერი ამას სწერდა ივნისის დასაწყისში, როცა არ მოიპოებოდა ხუთწლედის პირველი წლის გეგმის შესრულების მასალები. ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ განვლილმა 4 თვემ ნათლად დაამტკიცა, რომ ჩვენ პირველი წლის გეგმა შევასრულეთ არა „თუ გინდა ორი მესამედით", არამედ მრავალი პროცენტის გადაჭარბებით, ე. ი. „მთელი ქვეყნიერების მასებს" დაუმტკიცეთ „ფულის (ე. ი. სოციალიზმის გამარჯვების.—რედ.) შესაძლებლობა".

„საბჭოთა კავშირის მრეწველობის პროდუქცია,—სწერს ჰამბურგის „ვირტშაფსტრდინსტ",—სწრაფი ტემპით იზრდება. პროდუქციის გადიდება ოცი პროცენტით წელიწადში, რასაც ხუთ წელიწადში მოყვება პროდუქციის გაორმაგება, ნორმალურ მოვლენად იქ-



## ვ. ი. ლენინი
### ოქტომბრის ბელადი და ორგანიზატორი

მაგრამ ყველაზე უმთავრესად ჩვენს გამარჯვებაში საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკის ჩამორჩენილობაზე უცხოელ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს მიაჩნიათ ის, რომ კომუნისტებმა შესძლეს „ყველაზე მაგარი კაკლის გატეხა". ამ კაკალს კი წარმოადგენს გლეხთა საკითხი,—ასე განაცხადა შეერთებული შტატების გავლენიანი გაზეთის „ნეიმენის" რედაქტორმა ვილიარდმა.

ცნობილია, რომ ჩვენი მტრები საბჭოთა წყობილების დამხობაში პირველხარისხოვან როლს აკუთვნებდენ „გლეხურ ინდივ დუალიზმს", მის „კერძო მესაკუთრის გრძნობას". და ახლა უკანასკნელი იმედი ეცლება მათ. კომუნისტებმა შესძლეს „ყველაზე მაგარი კაკალის გატეხა", მათ მოახერხეს სასოფლო მეურნეობის საკითხის გადაწყვეტა სოციალიზმის მშენებლობის ინტერესებთან შეფარდებით. კოლექტივიზაციის, სოფლად სოციალისტური ელემენტების ზრდის ტემპი განცვიფრებას იწვევს უცხოეთში.

„ვერც ერთი მოვლენა, რომელსაც უკანასკნელი წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირში თავისი უდიდესი მნიშვნელობით ვერ შეედრება იმ აგრარულ რევოლიუციას, რომელიც კოლექტივებში ყოველწლიურად მილიონობით აერთიანებს გლეხურ მეურნეობებს",—განცვიფრებული აუწყებს თავის მკითხველებს ინგლისელ ლიბერალების ორგანოს „მანჩესტერ გარდიენ"-ის კორესპონდენტი.

და მართლაც, გლეხურ წვრილბურჟუაზიული სტიქიის დაძლევა, ღარიბი და საშუალო გლეხობის ფართო მასების აქტიურად ჩაბმა სოციალიზმის მშენებლობაში თამამად შეიძლება ჩაითვალოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს გამარჯვებად, რომელსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის მშენებლობის ბედისათვის. ამ ამოცანის დადებითად გადაჭრა შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ იმის წყალობით, რომ მუშათა კლასმა შესძლო ომისა და სამოქალაქო ომის დროს დანგრეულ მრეწველობის აღდგენა.

„როგორ შეუძლია პროლეტარიატს გლეხობის „გადაკეთება", როგორ შეუძლია მსხვილ მრეწველობას შეასრულოს თავისი ისტორიული მისია სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნის დარგში, თუ ფაბრიკები და ქარხნები გაჩერებულია, თუ ტრანსპორტი დამბლა დაცემულია, თუ ფინანსები წარმოადგენენ საშინელ ქაოსს ასტრონომიული ციფრებით, პროლეტარიატი კი კარგავს თავის სახეს და საარსებო საშუალებებს პოულობს „ზაჟიგალკების" დამზადებით,—სწერდა ლენინი თავის ბროშურაში „სასურსათო გადასახადის შესახებ" (იხ. ლენინის თხზ. ტ. XVIII, წ. I, გვ. 208).

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ გამოგვიყვანა იმ ნგრევიდან და ქაოსიდან, რომელშიც ს მოქალაქო ომმა მოგვაქცია. მსხვილი მრეწველობა, სოციალისტური მშენებლობის მთავარი ბაზა, ვითარდება ისეთი სწრაფი ტემპით, რომელიც ამერიკელ სპეციალისტებსაც კი აკვირვებს. ჩვენ მოვაწყვეთ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა და ამით მტკიცე საფუძველი შევუქმენით სოფლის კოლექტივიზაციას, რადგან მხოლოდ რთულ სასოფლო-სამეურნეო ბაზაზე შეიძლება სოციალისტური ელემენტების გაძლიერება სოფლად.

ასეთი განსაცვიფრებელი შედეგების მიღწევა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე შესაძლებელი გახდა მასების შემოქმედებითი ენტუზიაზმის მობილიზაციით, მათი ყურადღების დარაზმვით მშენებლობის ამოცანების გარშემო.

სოციალისტური შეჯიბრება, გადასვლა განუწყ-

> ოქტომბრის რევოლიუციამ მსოფლიო იმპერიალიზმს მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა, რომელსაც ის ვერასოდეს ვერ მოიშუშებს. სწორედ ამიტომ კაპიტალიზმი ვერასოდეს ვერ დაიბრუნებს იმ „წონასწორობას", იმ „სიმტკიცეს", რომელიც მას ჰქონდა ოქტომბრამდე. კაპიტალიზმს შეუძლია მიაღწიოს ნაწილობრივ სტაბილიზაციას, მას შეუძლია მოახდინოს თავისი წარმოების რაციონალიზაცია, ქვეყნის მმართველობა ჩააბაროს ფაშიზმს, დროებით შებორკოს მუშათა კლასი, მაგრამ ის ვერას დროს ვერ დაიბრუნებს იმ „სიმშვიდეს" და იმ „იმედს", იმ „წონასწორობას" და იმ „სიმტკიცეს", რომლითაც მას თავი მოჰქონდა წინედ, ვინაიდან კრიზისმა მიაღწია განვითარების ისეთ დონეს, როცა რევოლუციის ცეცხლმა უნდა ამოხეთქოს ხან იმპერიალიზმის ცენტრებში, ხან პერიფერიაში და გააქარწყლოს კაპიტალიზმის ცდები მიმართული თავისი პოზიციების გამაგრებისაკენ, მოაახლოვოს მისი დამხობის დღე.
>
> **ი. სტალინი.**

ვეტელ კვირაზე, მშრომელთა კაპეიკების საშუალებით მილიარდების შეგროვება სოციალისტური მშენებლობისათვის,—ყველაფერი ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებს შეგნებული აქვთ იმ უდიდესი ამოცანების მნიშვნელობა, რომელთა გადაჭრა მათ დააკისრა ისტორიამ.

საბჭოთა ხელისუფლების შინაურ პოლიტიკურ-ეკონომიური ძლიერების ზრდასთან ერთად, ძლიერდება აგრეთვე საბჭოთა ქვეყნის გავლენა, როგორც რევოლიუციონური ფაქტორის. კაპიტალის და იმპერიალიზმის მილიონი მონები, ამერიკაში და ევროპაში, აზიასა და აფრიკაში, იმედით შეჰყურებენ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს, ენთებიან მისი მაგალითით, მისგან მოელიან დახმარებას უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლის დღეს, რომელიც შეუჩერებლ. დ ახლოვდება. გაყვლეფილთა და დამონებულთა ეს მილიონიანი მასები უდიდეს ინტერესს და ყურადღებას იჩენენ საბჭოთა კავშირში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობისადმი და მზად არიან სიტყვით კი არა, არამედ საქმით დაიცვან მსოფლიო პროლეტარიატის ე თად ერერთი სამშობლო იმპერიალისტების ყოველგვარი იერიშებისგან. ეს თვალსაჩინოდ დაამტკიცა 1-ლ მაისს და პირველ აგვისტოს ყველა ქვეყნებში გამართულმა დემონსტრაციებმა.

მაგრამ საერთაშორისო მუშათა კლასი არა მარტო მზად არის დაიცვას საბჭოთა კავშირი, მას სურს აგრეთვე აქტიური მონაწილეობა მიიღოს სოციალისტურ მშენებლობაში. ჰამბურგის რკინისგზელების ინიციატივით დაწყებული საერთაშორისო სოციალისტური შეჯიბრება, კამპანია საბჭოთა კავშირის დასახმარებლად საერთაშორისო პროლეტარული სესხის გამოშვების სასარგებლოდ,—აი საერთაშორისო მუშათა კლასის ჩვენდამი კლასობრივი თანაგრძნობის პრაქტიკული გამოხატულება.

თავისთავად ცხადია, რომ იმპერიალისტები ვერ ურიგდებიან პროლეტარული ციხე-სიმაგრის —საბჭოთა კავშირის არსებობას და მის ყოველდღიურ განმტკიცებას და ზრდა-განვითარებას. ისინი ყოველმხრივ სცდილობენ ხელი შეუშალონ ჩვენს მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას და პროვოკაციული ოინებით ჩაგვაბან ომში. იმპ რიალისტების ამ ანტი-საბჭოთა ინტრიგების ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის ხელში ჩაგდება ჩინელ მილიტარისტების მიერ. საბჭოთა მთავრობა მტკიცედ სდგას მშვიდობიანობის სადარაჯოზე, იგი უკანასკნელ მომენტამდე ეცდე ა თავიდან აიცილოს ომი, მაგრამ, რასაკვირველია, ამას ის სჩადის არა იმიტომ, რომ ჩვენ უძლური ვართ, არამედ იმიტომ, რომ მშვიდობიანობის დაცვა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია.

მაგრამ თუ იმპერიალისტები აავსებენ ჩვენი მოთმინების ფიალას, ისინი დარწმუნდებიან, რომ „მტრებისათვის გარდა კარახანის ნოტებისა, ჩვენ სხვა რამეც მოგვეპოება“.

ამრიგად, ოქტომბრის რევოლიუციის მეცამეტე წელში ჩვენ გადავდივართ უდიდესი მიღწევებით სოციალ სტური მშ ნებლობის ფრონტზე, მშრომელი მასების აქტივობისა და შემოქმედებითი ენტუზიაზმის გაათკეცებით, რაც გვაძლევს იმის გარანტიას, რომ ხუთწლიან გეგმას ჩვენ ოთხ წელში განვახ რციელებთ. ამავე დროს ჩვენ ფხიზლად ვადევნებთ თვალყურს ჩვენი მტრების მახინაციებს, რომ საჭიროების დროს რკინის კედელივით აღვიმართოთ საბჭოთა საზღვრების დასაცავად, რათა ვერაგმა მტერმა ხელი არ შეგვიშალოს დიდი ბელადის—ლენინის მიერ დაწყებული საქმის დასრულებაში—სოციალიზმის აშენებაში.



ოქტომბრის ბელადი ლენინი და კრეისერი „ავრორა“

# ცეცხლიანი დღეები



ამხ. ი. სტალინი ქანდაკება მ-ისა

უსახლკარო სანდრო ხეველი, ახალგაზრდობის პირველ დღეებშივე გაიპარა რუსეთში. დაუდევარი ადამიანის მისწრაფება მასში ბორგავდა, გრგვინავდა და ლამობდა საზღვრების გადალ. ხვას.

ცხოვრების ფსკერიდან მოწოლილი ტანჯვა, ბოლმასავით ასკდებოდა მის ისედაც დამძიმებულ გულს, ვით მაღალ კლდოვან მთებს, ბურუსში გახვეული ლეგა ღრუბლები.

აინთებოდა ცეცხლივით სანდროს დამჭკნარი სახის გამომეტყველება და ისევ დაცხრებოდა ზღვ საეით, რომელმაც გადაიტანა მოვარდნილი ტალღების რისხვა.

ამგვარ ცხოვრების დღეებში სანდრო ფიზიკურად გამაგრდა. ახალგაზრდული სისხლით გაიტენა ძარღვები და დავაჟკაცებულ სახეზე ირიბულად გამოჩნდა ნაოჭები.

სანდრო არ წუხს მის ასეთ მდგომარეობას, რადგან დრო ელვის სისწრაფით გავიდა და ხედავს თუ როგორ იმსხვრევიან ძველი, ხავს მოდებული ძველი დროის ნაშთები.

მის თვალწინ სქდება მეფის სასახლის მოჩუქურთმებული ბარიერები. ზარბაზნების ზუილი რუსეთის ველებს ეფინება. ყუმბარები ხეთქავენ ას-წლობით ნაგებ გუმბათებს. ინგრევა ძველი ქვეყანა და თან ბრძოლით ისპობიან ძველი ფსიქოლოგიის ხალხნი.

***

ოქტომბრის გულიდან ამოვარდნილი აჯანყება იშლება.

ქუჩები სისხლის მორევით ივსება. წითელ გვარდიელთა დაგუბებული ბოლმანი ბომბასავით სკდებიან და მეფის სასახლეში გამაგრებულ იუნკრებს კერენსკისთან ერთად მიერეკებიან ქალაქის გარეთ.

ყოველი დღე ახალ ბრძოლის ფურცელს შლის.

პეტერბურგი თავისი უძველესი რევოლუციონერობით ქედმაღლივ დასცქერის მიდამოებს და აზვირთებულ ნევის ტალღებთან ერთად ებრძვის კერენსკის უკანასკნელ შემოტევას „ცარსკოე სელოდან“.

ულეველ გულთა ძგერანი ქუჩებში მოარულ წითელ გვარდიელთა ფეხის ბიჯებთან ბრძოლის რიტმს ქმნიან.

სანდროც ერთი ამ წითელ გვარდიელთაგანია.

ის აღფრთოვანებულია. თითქოს ფეხებს მიწაზე არ აკარებდეს, ისე დახტის. ფიქრი წარსულის შესახებ სადღაც გადაიკარგა, მიიმალა გაურკვევლობის ნაპრალში და მის მაგივრად წინ გამომზეურდა დღევანდელობის საკითხი, თუ როგორ გაიმარჯვებს ეა ბუმბერაზული აჯანყება.

ამ ფიქრებით გატაცებული სანდრო იბრძვის რუს ამხანაგებთან ერთად. ის უფრო დარწმუნდება თავის თავის ვარგისობაში, როცა ერთი წლის შემდეგ გადაიყვანენ პოლონეთის მხარეზე „ჩეკაში“ სამუშაოდ.

ახალგაზრდა სანდრო უმალ ეჩვევა საიდუმლო საქმეებში მუშაობას.

სიფრთხილე, თავდაჭერილობა, მოთმინების უაღრესი განვითარება, ყნოსვა ყოველგვარ კომბინაციებში გარკვევის და დავალების შესრულება გადაიქცა სანდროს განუყრელ მეგობრად.

სანდრო თავის თავს არ ეკუთვნის.

საერთო საქმეებში ტრიალებს. მაგარი საქმეების გახსნა, თეთრ-გვარდიელთა ოფიცრების მოღალატური მოქმედება ეს ჩვეულებრივი ამბავია და მის თვალწინ ასეთი სურათები იხატებიან სხვადასხვა საღებავებით.

***

სამოქალაქო ომი მწვავდება. ახლად შემდგარი წითელი არმია ზრდის პროცესში. ძველი ჯარის ოფიცრები ნაწილობრივ წითელ არმიაში დარჩნენ.

თეთრ-გვარდიელთა ნაწილები თავდასხმებს აძლიერებენ.

სანდრო მათ წინააღმდეგ ბრძოლაში გაიზარდა და დახელოვნებული „ჩეკისტი“-ს თვალებით, სადღაც ჯურღმულში მიმალულ და გამოჩარხულ საქმეებს ენტუზიასტის სიხალისით და სიძლიერით ხელში იგდებს.

იმ ღამესვე იქ ცეცხლი ავარდება და ყველაფერს სპობს.

აი ეხლა, როცა სანდრო მოღლილ-მოქანცული იწვა ერთ ნესტიან ოთახში, ქუჩიდან ავტომ მიაყვირა.

– ნეტავი ვინ უნდა იყოს?

და ი ევ თავი მიდო. ავტომ ისევ დაიყვირა და კარებში შემოვარდა უცნობი ქალი საიდუმლო ბარათით.

ბარათის გახსნამდის სანდრომ გადახედა უცნობ ქალს, რომელსაც წითელ არმიელის ტანისამოსი მებრძოლის იერს აძლევდა.

ბარათი გახსნა, წაიკითხა. „სანდრო, სასწრაფოთ გაჩნდი № 2 ნაწილში, ოთახი № 5, დააპატიმრე მთელი კრება. შენებური სიდინჯით და დაკვირვებით შეუდექი საქმეს“.

სანდრო ოდნავ გაფითრდა. ხელი შუბლზე მიიდო და იმწამსვე მაგარ გადაწყვეტილებით გამოვიდა ოთახიდან. ტელეფონით მზვერავი რაზმი ორმოცდა ათი წითელ არმიელის შემადგენლობით გამოიწვია. მხედრული მოხვრით შემოტრიალდა და ფორდის ავტოში შოფერს მიუჯდა.

უცნობი ქალი, რომელსაც სახელად ტოსია ერქვა შეურაცხყოფილი დარჩა სანდროს საქციელით.

როგორ! გამოცდილ „ჩეკისტ“ ქალს არ მენდობა?



კრეისერი „ავრორა“ ზარბაზნებს ესვრის ზამთრის სასახლეს.

ფიქრობდა გულში ტოსია.

— მეც თქვენთან მოვდივარ.

და ტოსიამ შედგა მარჯვენა ფეხი ავტოში. სანდრომ მკვახეთ მიუგო.

— დროს ნუ მაკარგვინებ! მე უნდა გავაკეთო ეს საქმე!

და შოფერს უბრძანა ავტო დაეძრა ადგილიდან.

დაბალი და მკვრივი ტანის ტოსია, შეირხა იარაღში. შოფერს უტაცა ხელი საჭეზე.

— ფეხს ვერ დასძრავთ. შენთან ერთად მე მაქვს მონდობილი ამ საქმის ხელში ჩაგდება. ნუ გგონია, რომ მე არ გამოგადგე. შენ ჯერ ბავშვი ხარ. გიჩვენებ თუ როგორ შემიძლია საქმის გაკეთება.

სანდრო ყოყმანობდა. არ ჯეროდა თუ ქალი გამოადგებოდა მას ასეთ საქმეში.

— ერთი რომ გასქდეს ზარბაზანი, მაშინათვე კივილს მორთავს. მთელი საქმე დამეღუპება.

ამბობდა სანდრო.

დრო აღარ იცდიდა. სანდრო დათანხმდა. გადაჯდა ტოსიას გვერდით.

ავტო ბნელაში ისე მასრიალებდა, რომ ხმასაც ვერ გაიგონებდი. ქურდული გაქანებით, შეიჭრენ მოტიტვლებულ ველებში, სადაც რუსეთის მკაცრ ყინვებს ყველაფერი გადაეთეთრებია.

გამოჩნდა წითელ არმიელთა ბანაკი.

— მიუახლოვდით! ეხლავ უნდა ვიცოდეთ, ვინ რას გააკეთებს არ უნდა დავიბნეთ.

— ეხლავე, ეხლავე.—დაუმატა ტოსიამ.

— მე შიგ შევარდები. შენ ტოსია, წითელ არმიელები უნდა მომაყოლო უკანვე. შესვლის—თანავე უნდა შემოერტყას ალყა თეთრ-გვარდიელთა ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ შტაბს. აი უკვე მოსჩანს ის შენობა, სადაც უნდა იყვნენ ისინი.

ტოსია ზევით წამოდგა. მებრძოლის გამომეტყველებით მიანათა თვალებში სანდროს.

— არა, მე უნდა შევიდე. დაგანახვებ ნამდვილი „ჩეკისტი“ ქალის ფიგურას. ეხლა მეტს არაფერს ვამბობ.

სანდროს ცოტაოდენი გულის მოსვლა დაეტყო.

— ეს ხომ დაღუპვაა. მე უნდა შევიდე...

ლაპარაკში ავტო უკვე გასცდა წითელ არმიელთა ბანაკს. ეს-ეს არის უნდა შევიდეს დანიშნულ ადგილას. იქვე ახლოს დაბლობში მზვერავ წითელ არმიელთა თოფების წვერები გამოჩნდა. წითელ არმიელებმა იცვნეს ავტო და არ შეუჩერებიათ.

ავტო პატარა გორაკთან შეჩერდა.

მოქმედებას უნდა შედგომოდენ.

— მაშ შენსას არ იშლი? პასუხი მკებლობაც შენზეა...

— შევასრულებ კიდევაც —სთქვა ტოსიამ და ორივე ხელებში მაუზერი დაიჭირა.

— სწრაფად! ფრთხილად სანდრო! წითელ არმიელები შემოარტყი შენობას. აი ხედავ სანთელი ბჟუტავს. უთუოდ იქ იქნება—და ტოსია გაქრა ხელიდან.

სანდრო კიდევ არ არის დარწმუნებული ტოსიას ერთგულებაში.

მზვერავები მუცლის ხოხვით შემოერტყნენ შენობას. ყოველ მხრიდან. სიბნელით მოცული გარემო უფრო ხელსაყრელია ტოსიასთვის. აქ მისი პატარა ტანიც გამოსადეგი შეიქნა. მიწაზე გაინართხა და სულმოუთქმელად მიიპარა შენობის კარებამდის. შესავალი კარები ორ თეთრ-გვარდიელს დაეკავებია,

როგორ მოიქცეს! ტოსია შეჩერდა წამით. მოიფიქრა: მოვკლავ, მაგრამ რომ მომისწრონ თოფის გამართვა!? მაშინ ხომ ჩაიშალა მთელი გეგმა?

ორივეს დასტაცოს ხელები? ვერ მოერევა. მაშ როგორ მოიქცეს?

ძნელი ამოცანაა. გადაწყვეტა აუცილებელია. დრო ჭიანურდება.

სანდრო მიუხვდა ტოსიას გაჭირვებას და მზვერავებიდან ათ კაცს უბრძანა ორივე მხრიდან მიპაროდენ მცველებს.

ტოსიამ თვალი მოჰკრა ამხანაგების მიახლოვებას. იმედიანათ დააკვირდა პირდაღებულ მცველებს, რომელთაც ამ ერთ წ-მში ს-კვდილი მოელით,

არმიელები მიუახლოვდენ.

მცველებმა თითქოს შეამჩნიეს.

მიიხედ-მოიხედეს და დათვალიერებაც ვერ მოასწრეს. წითელ არმიელებმა უხმოდ მოგუდეს. ტოსიამ იხელთა დრო. ორივე ხელებში რევოლვერ ამოწვდილი შევარდა ოთახში, სადაც ოცდაათამდე თეთრ-გვარდიელი ოფიცერი კრებაზე ისხდა. ტოსიამ შემზარავი ხმით მიაძახა:

— ხელები ზევით! არ გაინძრეთ! დაპატიმრებული ხართ.

ოფიცრებს სასაცილოდაც არ ეყოთ ტოსიას ასეთი საქციელი.

— ვინ... ერთი ჩიტივით ქალი...???

და ამ დროს წითელ არმიელები ზოგნი ფანჯრებიდან, ზოგნი წინა და უკანა კარებიდან, თოფებ გამართულნი შეცვივდენ ოთახში.

ეხლა კი წაუხდათ საქციელი ოფიცრებს და ხელები სამხედრო სისწორით ასწიეს მაღლა.

სანდრო აღფრთოვანებული, ხან ერთს ეცემა ყელში და ხან მეორეს.

ტოსიამ დასტაცა ხელი მაგიდაზე დაწყობილ ქაღალდებს და გასცა ბრძანება:

— აყარეთ იარაღი! გამოიყვანეთ გარეთ!

წითელ არმიელებმა ბრძანება შეასრულეს. ყველანი „ჩეკის“ სარდაფებში მოათავსეს.

— ეხლაც არ გჯერავს ჩემი მოქმედების?— უთხრა ტოსიამ სანდროს.

სანდრომ დარცხვენილი შეხედა თვალებში. ის გრძნობდა ტოსიას გამოცდილების და მოხერხების სიძლიერეს. მას რაღაც მიუწვდომელ სიმაღლეთ მოეჩვენა ქალის ასეთი მამაცობა და სტრატეგიული მოფიქრება.

— კარგი ამხანაგი ვიშოვე. აწი სულ მას წავიყვან საქმეებზე — ამბობდა თ ვისთვის სანდრო.

იმ დღიდან ტოსიაც ჩაწვდა სანდროს გულის სიღრმეში და დაინახა მისთვის არაჩვეულებრივი მეგობრის ბრწყინვალე თვალები, რომელიც მუდამ ნებისყოფის სიძლიერით და „ჩეკისტის“ სიმტკიცით კიაფობს.

ორი მებრძოლის გული და სული გაერთიანდა ერთ მთლიან ნივთად.

მათი დაცილება მხოლოდ სტიქიას, ან სიკვდილს თუ შეეძლო.

ტოსია ხასიათით მაგარი, მაგრ-მ ამხანაგური სულისკვეთებით მდიდარი, ყოველთვის იპყრობდა და იტაცებდა სანდროს გულწრფელ სურვილებს.

მათ დრო არ ქონდათ ერთად დამსხდარიყვნე- და ებაასნათ ვიწრო ოჯახურ საქმეებზე.

გაცნობა ბრძოლების და ქუხილების დროს მოხდა. მათი დაცილებაც ქუხილებმა შესძლო.

*⁎*

ოქტომბრის აჯანყების შედეგები მთელ რუსეთის ტერიტორიას მოედო.

თეთრ-გვარდიელები დღითი-დღე პარტიზანულ თავდასხმებით ვიწროვდებიან და სტოვებენ კილომეტრებით თვ-ლუწვდენელ საომარ ველებს.

სანდრო და ტოსია უკან მ-სდევენ. მუშაობენ. ადგენენ ახალ-ახალ გეგმებს.

ერთ საღამოს ორივე გამოიძახეს „ჩეკაში“. დანიშნულ დროზე გამოცხადდენ დავალებათა განყოფილების გამგე ივანე პოპოვთან.

— ტოსიას და სანდროს ჩემი სალამი. ძალიან გათამამდით არა?

ტოსიამ წყრომით შეხედა პოპოვს.

— არა შენზე კი არ ვამბობ, აი ჩვენს ქართველ სანდროზე ვამბობ. ეს რომ აქ მოვიდა ბავშვი იყო. ეხლა დიდი გამოცდილი კაცია და მეც მას ვეხუმრე. ეს სხვათა შორის იყოს, ეხლა კი საქმეზე ვილაპარაკოთ. თქვენ ორში ერთი რომელიმე უნდა გადავიდეს თეთრ-გვარდიელებში. თავი საიმედო ადამიანათ უნდა მოაჩვენოს და ჩაეწეროს მათ რაზმში. შემდეგ ხომ იცით რას იზამთ..? საქმე ძალიან ძნელია. დიდი მოხერხებული კონსპირატორობაა საჭირო. რომელი გაბედავს?

ორივემ ხმა გაკმიდა ერთი წუთით და ორივემ ერთად გადასწყვიტა წასვლა.

— ტოსია, შენ უფრო გამოდგები ამ საქმეში? სანდრო საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლას მოგიწყობს.

შეთანხმდენ. ტოსია მეორე დღესვე გადაიპარა პოლონეთის საზღვარზე. დიდის გაჭირვებით დაარწმუნა ოფიცერი რომ ნამდვილი მონარქისტია და სულით და გულით სურს მათთან მუშაობ-.

ასე მოხდა მისი ჩარიცხვა რაზმში. რომ ნდობა ქონოდა, დ უახლოვდა ერთ-ერთ ოფიცერს, ბოლოს მეუღლეც შეიქნა მისი. გულში ზიზღსა და სიძულვილს გრძნობდა მისდამი, მაგრამ საქმისთვის ასე სჯობდა.

შეიძლება სანდროს წყენოდა ტოსიას ასეთი საქციელი!

არა, ისიც დარწმუნდა, მიზნის მისაღწევად ყოველგვარი საშუალება უნდა გამოიყენოს კაცმა. ტოსიასთვი-აც ს-შუალ-ება არის ეს ამბავი.

დაიწყო ტოსიას -ოქმედებ , უაღრესი კონსპირატიული.

ქმარი მას ყველაფერს ანდობდა. ქალმა რ-ამდენიმეჯერ მოახერხა გეგმების და რუ-ების გადმოტანა. წითელ არმიელები ამ გეგმების საშუალე-ით ანადგურე-დენ თეთრ გვარდიელთა რაზმებს.

ტოსია უფრო და უფრო მიძვრებოდა საიდუმლო საბუთებში.

ბოლოს ძნელი შეიქნა მუშაობა. ქმარმა ეჭვები მიიტანა, ეს არ დარჩა შეუმჩნეველი ტოსიასთვის.

— ეხლა გადაწყვეტილი ამბავია, უნდა გავიპარო. ისე უნდა წავიდე, რომ ახალი გეგმა, რომელიც გუშინ შეიმუშავეს თან გავიტაცო,— ამბობდა ტოსია.

დღეები მიდიოდა, მ-გომარე-ბა თან და თან რთულდებოდა. მოპარული გეგმებით წითელ



ნიკოლაევის ხიდზე კრეისერმა „ავრორამ“ გადმოსხა მეზღვაურთა დესანტი ზამთრის სასახლის ასაღებად

არმიელები სულ ანადგურებდენ თეთრ გვარდიელებს. საზღვართა მცველთა რაზმი გააძლიერეს. ხელით გადმოტანაც არაფრის შეიძლება.

მაშ როგორ მოიქცეს ტოსია? მარტო ხელცარიელი ხომ ვერ გადმოვა?.

ამ ფიქრებში გართულს მოაგონდა რაღაც. შემოტრიალდა და თავის კარგ ნაცნობ ვალიასკენ გასწია.

ვალია ტოსიას ძველი ნაცნობი და მეგობარი იყო. კერენსკის დროს, ვალია ერთ ოფიცერს გაყვა ცოლად. ოფიცერი დენიკინელი შეიქნა და ვალიაც გაჰყვა.

წინედ ტოსია ყველაფერს ანდობდა მას.

ეხლა კი არ იცის გამოუტყდეს თუ არა საიდუმლოებაში. შიშობს ტოსია, ვაი თუ გასცეს?.

— არა რაც უნდა დამიჯდეს მოვახერხებ.

ტოსია, მივიდა ვალიასთან.

ბევრი ლაპარაკის შემდეგ ტოსია გამოუტყდა. გააცნო გეგმა, თან დაპირდა სამშობლოში მშვიდობიან გადაყვანას.

ვალია ცივ უარს დაადგა.

— ეს ხომ ჩემი დაღუპვაა. ორივეს დაგვხვრეტეს. არა მაგას ვერ ვიზამ. ამბობდა აკანკალებული ხმით ვალია.

ტოსია უგრძნობლად წამოვარდა ზეზე.

ყველაფერი გაგაცანი, ეხლა გინდა საერთო საქმე გააფუჭო?! აი აქ რევოლვერს ხომ ხედავ, ტყვიას გულში დაგახლი თუ კი არ დამთანხმდები, სულ ერთია მეც მომკლავენ. სთქვი ჩქარა სანამ შენი ქმარი მოვიდოდეს?.

ვალიამ შეშინებული ხმით წამოიძახა.

— გეთანხმები... მხოლოდ მითხარი რაში გამოიხატება ჩემი მოვალეობა.

— მომყე, და გიჩვენებ რაც უნდა გაკეთო.

ორივე წავიდნენ ერთ ბნელ კარავში. ტოსიამ ამოიღო შავი ხაზებით დაქსელილი გეგმა და უბრძანა.

აი ეს უნდა გადმოხატო ჩემს ზურგზე.

— ზურგზე... ზურგზე... გაგიჟდი?

— დიახ, ხომ ხედავ გავგიჟდი. ხელით გადატანა არ შეიძლება ზურგზე უნდა გადახატო და ისე უნდა გადავიპაროთ ორივე.

ვალია შეუდგა მისთვის სამძიმო მუშაობას. ხელები არ ემორჩილება. სულიერ ტანჯვას განიცდის. ტოსია ამჩნევს ვალიას აღელვებულ მდგომარეობას. გამოსავალი სად არის? ეკითხება თავის თავს. პასუხიც იქვე ამოიჭრება მსხვილ ასოებით, რომელსაც ირგვლივ სიბნელით მოცული გარემო, წერტილებით მოხაზავს. წერტილები აირევიან და პასუხი მკაფიოდ დატრიალდება,

— საჩქაროდ... საჩქაროდ... დღეს... ხვალ...

სამ დღეში ხაზებიდან დაწყებული ყოველი წერტილი გადაიტანა ვალიამ ტოსიას ზურგზე.

მეოთხე დღეს ორივე გაიპარა თეთრგვარდიელთა ბანაკიდან.

როცა ტოსიას ამბავი დიდხანს ვერ გაიგო სანდრომ მოინდომა საზღვარს მიახლოვებოდა.

შეიძლება დააპატიმრეს, უშველი რაიმეს. —ამბობდა სანდრო.

* * *

საზღვარზე მცველები არ სჩანდენ. ტოსია დამშვიდებით გადმოდიოდა.

უცებ გაისმა თოფების გრიალი და ორივე უსულოდ დაეცნენ მიწაზე. იქვე ახლოს სანდროს რაზმი იყო დაბანაკებული. თოფების ხმაზე რაზმი წამოიშალა.

გაჩაღდა პარტიზანული ომი.

რაზმელებმა ფეხებით გადააჯირგალეს ტოსია.

მოესმად ხრინწიანი ხმით კვნესა.

სანდრო გაფითრებული დასწვდა ტოსიას, მაგრამ მისი ახალგაზრდული სიცოცხლე უკანასკნელად ესალმებოდა იქაურობას.

სანდროს მხოლოდ გაურკვეველი სიტყვები ესმოდა ტოსიასაგან.

— ზურგი... ზურგზე.. -- მაგრამ ვერ გაიგო რას ნიშნავდა ეს სიტყვები.

ირგვლივ გარემო ჩამობნელებული იყო.

ბინდი ბურავდა გარემოს.

თოფების კვამლის სუნში უკანასკნელი ამოისუნთქა ტოსიამ სანდროს მკლავებზე.

მეორე დღით ტოსია და ვალია „ჩეკაში“ მიიტანეს. სანდრო დაინტერესებული იყო თუ რას ნიშნავდა ტოსიას სიტყვები ზურგი... ზურგზე... და მართლაც გადაუწია მწვანე მაუდის ხალათი. გაყვითლებულ ზურგზე გამოჩნდა შავი ფერებით დახაზული გეგმა. თუ როგორ უნდა აეღოთ № ქ ლაქი თეთრგვარდიელებს.

სანდრო ნაღვლიანათ დააცქერდა ტოსიას ცხედარს და ხმა მაღლივ წარმოსთქვა.

— თურმე ამდენხანს ვერ ვიცნობდი შენს სიდიადეს და ეხლა კი ჩემი გული რკინასავით გახურებული მტლად დაედება „ჩეკისტის“ პატიოსან სახელს.

* * *

ირგვლივ ზარბაზნები ქუხდენ და ქვევით კი ყამირ მიწაში ეშვებოდა ორი მებრძოლის ცხედარი.

**სიმონ წვერავა**



1919 წელს რევოლიუციონურ პეტროგრადს გენერალი იუდენიჩი განსაცდელს უმზადებდა. სურათზე ნაჩვენებია მატროსების რაზმი, რომელთა მეთაურობით დამარცხებულ იქმნა გენ. იუდენიჩი.



საისტორიო ზარბაზანი კრეისერ „ავრორაზე“, რომლიდანაც ტყვიას უშენდენ ზამთრის სასახლეს რევოლიუციის პირველ დღეებში.

**სიმონ ჩიქოვანი,**

# საოქტომბროთ
## მიმართვა პოეტებს

თორმეტ მომქმედ ვაჟს წლებთა კუნთებით
ჩვენი თორმეტი წელი მაგონებს;
ბევრი წავიდნენ და დაბრუნებით.
მხოლოდ თორმეტნი მოყვენ ვაგონებს.
ვხედავ გადმოდგამს
ცამეტი წელი
ინდუსტრიაში გაწვრთნილ ნაბიჯებს
პოეტისაგან მომართვას ელის
და ხმალის ნაცვლად გრდემლზე გაფიცებს.
გინდოდა ძველათ მღერა ბულბულებრ
გინდოდა კვნესით ტრფიალი ვარდის—
თუ ბიჭი ხარ და
მამათ მიგულებ
უარყოფ სულს და სევდების წადილს.
საქმე ბევრი გვაქვს
თუ ყელს აივსებ
თუ მშენებლობის იგრძნე საქმენი
კომუნიზმისკენ გზები საისრე
მოელის შენგან მხატრულ აქლემებს.
შესცვალე ჯიშიც
და შენი არსიც
ცხოვრება ბულბულს
გწამდეს არ ყკარობს
დრონი მოვხიოთ შენს კალენდარზე
საუკუნეზე ქვები ავყაროთ.
არ მსურს გხედავდეთ ნამყო დაყრდნობილს
ორჯერ სიცოცხლე
რისთვის გასევდებს,
კარგ მხედარს შვენის კარგი ნახტომი
და გულწფელობა მომქმედ სინდისს.
წინ გიდგას წლები, წლები საბჭოთა
ბნელ გონებისთვის ყოფა უხეში,
„ამ ადამიანს ძველი სტანჯავდა
და გვილალატა ბრძოლის ქუხილში“.
იტყ ის მყოფადში შენი შედეგიც
და შენ საფლავთან იმსჯელებს მშვიდათ
„მუხლში მდინარე ადრე ჩაუდგა
და ძველების სევდა ლექსათ გაყიდა“.
თორმეტ წლიანი ჩვენ მეგობრები
მოგმართავთ ძმურათ
სიტყვის ოსტატებს
დადგა ცამეტთან დღეს ოქტომბერი
და თუ ძალა გაქვთ ახრი მოსტაცეთ.
ჩვენ დაპირება
გვქონია თქვენგან
და განაღდებას ველით პირობის;
ჩვენ—კი ავანთებთ გონების ბენგალს
რომ სინათლეზე ხმები ყვიროდეს.
ხმას გაშუქებულს დილის სხივისებრ
თ ნაადრობის მზერით გაჭვრეტილს—
მიეცეს სივრცე, შლილი ზეფირებრ
და მის წარსულზე დაჯდეს წერტილი.
თქვენც გრძნობთ
გადმოდგამს ცამეტი წელი
ინდუსტრიაში აღზრდილ ნაბიჯებს
თქვენგან ჭეშმარიტ საქმეებს ელის
და ხმალის ნაცვლად გრდემლზე გაფიცებს
თორმეტ მომქმედ ვაჟს
წლებთა კუნთებით
ჩვენი თორმეტი წელი მაგონებს.
ბევრი წავიდნენ და დაბრუნებით
მხოლოდ თორმეტნი მოყვენ ვაგონებს.
ეს არის წლები, წლები საბჭოთა
თორმეტ ნაბიჯით შრომაში ხარბი
ხედავ რომ აწმყომ ნამყოს აჯობა
და პროლეტარულ სივრცეში გარბის.

26 ოქტომბერი, 1929 წ.



ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის

# მეთორმეტე ზეიმი აქვს

მეთორმეტე ზეიმი აქვს
წითელ ოქტომბერს,
აღმშენებლობის დიად გეგმებს
ანხორციელებს.
ვაშა ხმელეთის მეექვსედი
ნაწილის მფლობელს,
ვაშა კომინტერნს
და მის დროშის
მედგარ დამცველებს!
ზეიმობს ქუჩა
ძლევამოსილ გარდახდილ ბრძოლებს
და ახალ-ახალ გამარჯვებებს
ითვალისწინებს;
ამსხვრევს სამყაროს ციხეებს და
ბორკილთა რგოლებს,
ანთავისუფლებს დამონებულთ
და მიყიჟინებს!
დაბრკოლებათა გადალახა
კლდეები და ღრეები,
სამოქალაქო ომის ცეცხლი
გამოიარა;
შემუსრა ყველა ყვავ-ყორნები,
ყრაშყრაშით მფრენი
და მომავალი ბრძოლებისთვის
ლესავს იარაღს!
გაჰქრა რუსეთის რეაქციის
შავბნელი ხახა,
რომანოვების დინასტიის
ტახტი დაეცა;
იშვა საბჭოთა საკავშირო

სადაც წითელი ვარსკვლავებით
ქათქათებს ზეცა!
და ვფიცავთ ლენინს,
რომლის დროშას მტკიცედ ვატარებთ,
რომლას ანდერძი და ხსენებაც

ძალ-ღონეს გვმატებს,—
ვიბრძოლებთ ვიდრე
მსოფლიოზე არ დავამყარებთ
მუშურ და გლეხურ
შეერთებულ საბჭოთა შტატებს!

**გ. ქუჩიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხ. ა. მრავიანი

23 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ერევანში, გულის სიდამბლისაგან გარდაიცვალა სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და განათლების სახალხო კომისარი ამხ. ა. მ რ ა ვ ი ა ნ ი.

ამხ. მრავიანი ეკუთვნოდა ძველ ბოლშევიკების ჯგუფს. არალეგალური მუშაობ·ს დროს ამხ. მრავიანი გამოდიოდა პრესაში მენშევიკების წინაალმდეგ. მისი აქტიური მონაწილეობით, რევოლიუციის წინა წლებში გამოიცა რევოლიუციონური ჟურნალ-გაზეთები. იმპერიალისტური ომის დროს ამხ. მრავიანი რევოლიუციო ური პრესის ერთი აქტიური წევრთაგანი იყო.

დაშნაკელების ბატონობის დროს, სომხეთში რევოლიუციონური მუშაობის წარმოება მეტის-მეტად ძნელი იყო, მაგრამ მიუხედავათ ამისა ამხ. მრავიანი არ ჩამოშორებია პარტიას და მუდამ მტკიცედ მიდიოდა პარტიის მიერ დასახული გზით.

ნოემბრის რევოლიუციის შემდეგ ამხ. მრავიანი აირჩიეს პირველი რევკომის თავმჯდომარეთ, რომელიც მოაწყო დელიჟანის აჯანყებულმა მასამ. შემდეგ ამხ. მრავიანი მუშაობს განათლების სახალხო კომისრათ, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და გაზეთის რედაქტორად. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე ამხ. მრავიანი არჩეულ იქნა სომხეთის კომპარტიის ცეკას და სომხეთის ცაკის წევრად, ამასთანავე იყო ა. კ. საკ. კომისიის და საკავშირო ცაკის წევრად.



ამხ. მრავიანის ხელმძღვანელობით გაიშალა დაბალ საფეხურის სკოლის ქსელი, მისივე ხელმძღვანელობით სწარმოებდა მუშაობა ამხ. ლენინის თხზულებათა გამოსაცემათ სომხურ ენაზე.

მთელი თავისი რევოლიუციონური მუშაობის განძავლობაში ამხ. მრავიანი სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა ა.-კავკასიის ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოსახულებასთან.

ამხ. მრავიანი გარდაიცვალა მოულოდნელად, ჯერ კიდევ ჯანსაღი და ენერგიით აღსავსე, სიკვდილმა გამოგვაცალა ხელიდან. მცირდება ძველ ბოლშევიკების გვარდია, მაგრამ მათ ნაცვლად იზრდება ახალი ძალები, რომლებიც განაგრძობენ მათ მიერ დაწყებულ მუშაობას.

# გუმბრის ფლორიდინი, ქუთაისის აბრეშუმი და ბარიტის მრეწველობა

დასავლეთ საქართველოს ძალარა დედაქალაქი—ქუთაისი გაახალგაზრდავების ხანას განიცდის. უგეგმოთ გაყვანილი ქუთაისის ქუჩების ქვაფენილებზე, ჯერ კიდევ ამ სამი წლის წინათ, უპატრონოთ გამოშვებული სა ონელი სიდინჯით სძოვდა ბალახს. კვირაში ერთხელ თუ დაინახავდა ქუთაისელი მოქალაქე ავტოს. დაღამდებოდა თუ არა, ქუთაისიც მიწყნარდებოდა, იძინებდა.

სამი წელიწადი არ შესრულებულა კიდევ, რომ ქუთაისმა „ფერი იცვალა“. აგებულია და ახლო ხანში უნდა ამუშავდეს ბარიტის დიდი ქარხანა, უკვე მუშაობს აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა, გუმბრინის პატარა ქარხანა და დაიწყო დასავლეთ საქართველოს სიამაყის—რიონის ჰიდრო-ელსადგურის აგება.

გაქრა ქუჩაში ბალახი და მოქალაქეები გარეთ ველარ უშვებენ ძროხებს, რომ ავტომ არ გადასრისოს, ან მილიციამ არ დააჯარიმოს საქონლის უთაური პატრონი. მარტო რიონჰესის სამუშაოებზე ყოველდღიურათ 1000-ზე მეტი კაცი მუშაობს. მუშური სამრეწველო ქალაქის ელფერს მისცემს ქუთაისს ბარიტის ქარხანა.

ბარიტის მადნებს ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავთ საქართველოს მიწის ნიადაგის სიმდიდრეთა შორის. ბარიტიდან ამზადებენ ძვირფას მინერალურ სღებავებს და ქიმიური მრეწველობისთვის საჭირო სხვადასხვა პროდუქტებს. საბჭოთა კავშირში ბარიტი რამოდენიმე ადგილას მოიპოება, მაგრამ არსად ისეთი ღირსების არაა ბარიტის მადანი, როგორც ჩვენში. ამიტომ საქართველოს ბარიტზე დიდი მოთხოვნილებაა და საქართველოს სამთო მრეწველობის ტრესტი ძლივს ასდის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. წინათ, ქუთაისიდან გაჰქონდათ უმთმვრესად დაუფქვავი ბარიტი. ეს იწვევდა ზედმეტ ხარჯებს და ამიტომ აგებულ იქნა ქუთაისში ბარიტის მადნის საფქვავი ქარხანა. ეს ქარხანა მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის თანახმად და მისი წყალობით საქართველოდან გატანილი ბარიტი ერთი ოთხათ მეტ შემოსავალს მოგვცემს, ვიდრე წინათ. ამჟამად გადაწყვეტილია, რომ ქუთაისშივე მოწყობილ იქნას ბარიტიდან ერთ-ერთი უძვირფასესი სღებავის—ე. წ. ლიტოპონის—გადამმუშავებელი ქარხანა. ლიტოპონი საბჭოთა კავშირში ძალიან მცირე რაოდენობით მზადდება და უმთავრეს ად საჭირო ხდება მისი იმპორტი საზღვარგარეთიდან. მიმდინარე საბიუჯეტო წელში დაიწყება აღნიშნულ ქარხნის აგება და ქუთაისი კვლავ გამდიდრდება საკავშირო მრეწველობის მქონე ახალი წარმოებით.

დიდი მომავალი აქვს გუმბრინის წარმოებასაც ქუთაისში. გუმბრინი უწოდეს განსაკუთრებული თვისების თიხას, რომელსაც ხმარობენ ნავთის მრეწველობაში ჰაბურღილებიდან ამოღებული ნავთის პროდუქტების გასაწმენდათ. ასეთი თვისების თიხა მოიპოება მხოლოდ ფლორიდაში (ამერიკა) და ამიტომ ამ თიხას ჰქვია ფლორიდინი, მაგრამ ჩვენში მას გუმბრინი უწოდეს, ვინაიდან ფლორიდის გარდა თიხის ასეთი მადნები აღმოჩნდა სოფ. გუმბრშიაც ქუთაისიდან 7 კილომეტრის დაშორებით. გუმბრინის მადანი აღმოაჩინა პროფ. თვალჭრელიძემ, რომელიც ამჟამად მუშაობს აღნიშნული მადნის დანარჩენი თვისებების გამოსარკვევათ. ნავთის მრეწველობაში საცდელი ხმარების დროს ჩვენი



ოქტომბერში ბარიკადებზე

გუმბრინი გაცილებით უკეთესი ღირსების აღმოჩნდა, ვიდრე ამერიკული ფლორიდინი და ამის გამო, მთელი რიგი უცხოეთის ფირმები წინადადებას ა ძ ლ ე ვ ე ნ სამთომრეწველობის ტრესტს, რომ მათ მიჰყიდონ გუმბრინის დიდი პარტიები. მარტო ამერიკულ სანავთო საზოგადოებას „სტანდარტ ოილ“-ს ყოველწლიურად სურს საქართველოდან გაიტანოს რამოდენიმე ასი ათასეული ტონა გუმბრინი. ქუთაისის გუმბრინის ქარხანას საცდელი ხასიათი აქვს და მომავლისათვის განზრახულია არსებული ქარხანა გადაკეთდეს ისეთი ვარაუდით, რომ ქარხნის პროდუქციით შესაძლებელი გახდეს საბჭოთა კავშირის ნავთის მრეწველობის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება.

ქუთაისი სამართლიანად ითვლება აგრეთვე მეაბრეშუმეობის ცენტრად. აქ გახსნილია და მოქმედობს ყველა ის საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებები, რომელთა მიზანსაც მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა შეადგენს. სხვათაშორის, ქუთაისში აგებულია აბრეშუმის ძაფსალები ახალი ქარხანა, რომელიც ამზადებს ნახევრად მის ფაბრიკატებს — ე. ი. აბრეშუმის ძაფს. წინათ კი ქუთაისიდან გაჰქონდათ აბრეშუმის პარკი, რაც მეტ ხარჯებს მოითხოვდა (ფრახტი, ჩალაგება და სხ.) ვიდრე ნახევრათ მის ფაბრიკატის გატანა მოითხოვს.

5 წლიანი პერსპექტიული გეგმის განხორციელებით ქუთაისის ისტორიაში იწყება ხელახალი აღორძინების პერიოდი. თუ წინათ ქუთაისი იზიდავდა იშვიათად ჩამოსულ არქეოლოგებს და ტურისტებს თავის ბაგრატის ტაძრის ნანგრევებით, ახალი ქუთაისი მიიზიდავს მუშა-ექსკურსანტებს თავისი ინდუსტრიით, რიონჰესით, გუმბრინით და ყველა იმ ბუნებრივი სიმდიდრეებით, რომლებიც ქუთაისს მოუხვეჭენ უდიდეს სახელს—საქართველოს მეორე ინდუსტრიალური ცენტრისას.

**დამირ.**

# ს ა ბ ჭ ო თ ა   ა მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

## ოქტომბრის შედეგები საბჭოთა საქართველოში

ბრმას შეუძლიან მხოლოდ არ დაინახოს ის დიდი აღმშენებლობითი მუშაობა, რომელიც დღეს ჩვენში, და საერთოდ მთელ საბჭოთა კავშირში სწარმოებს.

ღამით მამა-დავითის მთის მწვერვალიდან სჩანს ზაჰესის ენერგიით გაჩახჩახებული თბილისი.

დღეს მუშურ-გლეხური ხელისუფლება, დაკვრითი წესით შეუდგა ჩვენში სარწყავი არხებისგაყვანას.



ფოტო კოზაკისა

**ბარიტის, ფლორიდინის და აბრეშუმის ქარხანა ქუთაისში**

ვათვალიერებ იმ ახალ-ახალ შენობებს, ახალ ბაღებს, ტრამვაის ხაზებს, ვიწრო ქუჩების გაფართოებას, ფაბრიკა - ქარხნებს, ელ-სადგურებს, სარწყავ არხებს, მამა-დავითის მთის ტყით გაშენებას რომელიც,ნაფეთქი მუხნარი სამი-წლის ნამყენ ვენახს მომაგონებს და არ გაივლის ბევრი წლები იმის ჩრდილის გრილობაც ვიხილავთ

ალაზნის არხის გაყვანა დაიწყო 1925 წელში, ჯდება—8,000,000 მანეთი, სამუშაოების 30% უკვე შესრულებულია. იმედია დამთავრდეს1931 წელში, რომელიც მორწყავს 44,000 ჰექტარს ანუ იმდენივე დესეტინას.

დიღომის არხის გაყვანა დაიწყო 1927 წ. დამთავრება განზრახულია 1930 წელში, მორწყავს 1500 ჰექტარს, ამჟამად მუშაობის" მესამედი ნაწილი შესრულებულია და რწყავს 500 ჰექტარს, ჯდება 400,000 მანეთი.

ტირიფონის არხის გაყვანა დაიწყო 1921 წ. მორწყავს 30000 ჰექტარს, დამთავრება განზრახულია 1931 წ. სამუშაოების 50% შესრულებულია.

მაშველის არხი დაიწო 1921 წ, მორწყავს 24000 ჰექტარს, ჯდება 4,000,000 მანეთი. მუშაობის 10% შესრულებულია, ამასთანავე ქსნის, სამგორის და ქედის, ე. ი. შირაქის ველების მორწყვის საქმე უკვე დაწყებულია. ამ არხების მეოხებით მოგვეცემა უხვი, დამაპურებელი ცხოვრება.

ელექტროფიკაცია ხომ სულ ახალი ხილია, როგორც ჩვენთვის, ისე მთელ საბჭოთა კავშირისათვის.

ძველ რეჟიმში ხშირად მსმენია თეთრი ნახშირით მდიდარი ვართო, მაგრამ საქმით მხოლოდ ეხლა დავრწმუნდი.

მაგონდება როცა ზაჰესის აგება დაიწყეს, ბევრს არა სჯეროდა მისი დამთავრება, მაგრამ დღეს ყველანი ფაქტის წინაშე ვდგევართ. 54,000 ცხენის ძალიანი სადგური 20,000 ცხენის ძალით დატვირთული ამუშავებულია და მთელ თბილისს აკმაყოფილებს.

აბაშის, ონის, და ახალ-ქალაქის ელ-სადგურები დამთავრებულნი და ამუშავებულნი არიან.

60,000 ცხენის ძალიანი რიონჰესის სამუშაოები ნახევრად შესრულებულია, აგრეთვე შესრულებულია ნახევრად მდ. ჭოროხზე 40,000 ცხენის ძალიანი სადგურის სამუშაოები, ეწყობა დიდი 100,000 ცხენის ძალიანი სადგურის აგებ თაფარავანის-ველზე. და მრავალი წვრილი ელსადგურების აგება შეტანილია 5 წლიან საპერსპექტივო გეგმაში.

მახსოვს 5-6-წლის წინედ დიდუბეში, გერმანელების კოლონიის ბოლოში, თავისუფალი მინდორი იყო, კვირა-უქმე დღეებში გავდიოდით სუფთა ჰაერზე,—ეხლა ნახეთ გიგანტი შალეულობის ფაბრიკა, რომელიც დამთავრების რიგშია, სადაც იმუშავებს 1500 მუშა სამ-ცვლად,

ამ ორი წლის წინედ იქვე საძირკველი ჩაეყარა ავეჯეულების ქარხანას, რომლის საძირკველის საზეიმო ჩაყრის დროს ამხ. ფ. მახარაძემ სთქვა: „ადრე რომ მენახა უბრალო აგურის ქარხნის აგება, მიხაროდა, მესმოდა მისი მნიშვნელობა. დღეს ჩვენ ახალ-ახალ ფაბრიკა ქარხნებს ვაგებთ და, აი, დღე აც ერთ ახალ ფაბრიკას ვყრით საძირკველს. ნება მიბოძეთ ეს ახალი გამარჯვება მოგილოცოთ. ყოველი ასეთი ახალი საქმე შეამცირებს ჩვენში უმუშევრობას, და ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას დღითი დღე გააუმჯობესებს და უფრო ჩქარის ნაბიჯით წავიწევთ წინო".

იქვე ამუშავდა ლითონტრესტის დიდი ქარხანა, რომლის შესაფერი შენობის აგება განზრახულია ამ მოკლე ხანში, რაზედაც დაიხარჯება ხუთ მილიონ მანეთამდე.

ქ. ქუთაისში შალეულობის ფაბრიკა, აბრეშუმის ძაფ-სახვევი ქარხანა, ბარიტის წისქვილი და კირის ქარხნები, რომლებშიაც მუშაობს 2000 მუშამდე.

ქ. ხონის, ოზურგეთის, სამტრედიის და თელავის აბრეშუმის ძაფ-სახვევი ქარხნები, გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა მარელისში 250 მუშით. ხე-ტყის ქარხანა მცხეთაში 90 მუშით. შამგონში 100-მუშით. საკასრე ქარხანა ბორჯომში 600-მუშით, ცრბო-ყველის ქარხნები ბეჟანოვში და სიონში. ხილის სახმობი ქარხნები გორში, შინდისში, ტყვიავში და ახალციხეში. საკონსერვო და საბოსტნო ქარხნები გორში. ლიტოგრაფიის ქვის სახეხი ქარხანა ქ. თბილისში, გაქანებული მუშაობა ცემენტის ქარხანაზე სოფ. კასპთან რკინისგზის ახლო, სადაც იმუშავებს 400 მუშა. ეს ქარხანა წელიწადში დაამზადებს მაღალი ხარისხის 600.000 კასრ ცემენტს.







ფოტო ი. სტურუასი

**რიონჰესის ტურბინის შენობა და მუშაობის სხვადასხვა მომენტები**

ნაოსნობა მდინარე რიონზე. ახალი წყალსადენები თბილისის მაზრის სოფლებში, დიდი წყალსადენები ქ. ქ. ქუთაისში და ბათომში, თბილისისათვის განსაკუთრებით ნატახტარიდან.

ნატახტარი კარგი ხარისხის სასმელ წყალს გაუწმენდავად პირველ ხანებში თბილისს მიაწვდის დღე-ღამეში 3.000,000 ვედროს და შემდეგ შეუძლია 7.200,000 ვედრო წყლის მიწოდება. როგორც უნდა გაიზარდოს თბილისი, სასმელი წყლით უზრუნველყოფილი იქნება.

სამეგრელოში შენდება დიდი ქაღალდის ფაბრიკა, რომლის აგება ჯდება 30-მილიონი მანეთი. წელს ამ საქმეზე დაიხარჯება 6 მილიონი მანეთი.

ზემო ქართლში აგარასთან შენდება შაქრის ქარხანა.

ბევრი ახალი სკოლები და საავადმყოფო აშენდა სოფელ-ქალაქებში.

ბევრი ახალი გზები და ხიდები იქნება გაყვანილი და გაკეთებული.

გააუმჯობესეს კურორტები.

ააგეს იშვიათი სანატორიუმები: ლიბანი, არაზინდო ა/კ სოც. დაზღვევა სამმართველოს კლინიკა. ამხ. შამშე ლეჟავას ინიციატივით დაარსდა ახალი კურორტი რაჭაში; კურორტი შოვი ბუნების სიმდიდრით და უხვი მჟავე წყლების შადრევანებით ერთი პირველთაგანია მთელ საქართველოში.

კიდევ ბევრი კეთილი საქმე გაკეთდა რომლის ჩამოთვლა-მოგონებით კაცი პირდაპირ ითვრება და თავი მსხვილ სამრეწველო ქვეყანაში ჰგონია

ასეთი დიდი გარდაქმნა ხდება თბილისის გარშემო. თვით თბილისის ალმასკომია გაჩერებული, მისი მომწყობი განყოფილება, ჩვენდა სასიხაროდოდ, გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს და ბევრი დიდი საქმეც გააკეთა. თბილისის აბანოები ცნობილია არა მარტო როგორც ჩვეულებრივი აბანო, არამედ როგორც ცხელი გოგირდოვანი სამკურნალო წყლები.

ალმასკომმა დაახლოვებით 14 აბანოს კაპიტალური შეკეთება მისცა. შუა ბაზრის ქუჩა, სადაც კატა კუდს ვერ მოიქნევდა, გააფართოეს და ტრამვაის ორი ხაზი გაიყვანეს აბანოს მიჯნამდე.

მარჯვნივ და მარცხნივ ეტლების, ავტობუსების ხალვათი გზა და ფართე ტროტუარი დააგო. ალმასკომის აზრია აბანოების, თათრის მოედნის, სამღებრო ქუჩის და კომუნალურ ქუჩის შუაში მდებარე სახლები სულ აიღოს და მის ალაგას გააშენოს დიდ ბაღი. შემდეგ მთელ კომუნალურ ქუჩას ორთაჭალამდის გაფართოვება მისცეს.

ვაკეზე შენდება მთელი ახალშენთა კოლონია კოხტა ქუჩებით. აქვე აშენდა ლ. ქართველიშვილის სახელობის სტუდენტთა საცხოვრებელი ბინა. „ინტერნატი" 47 ოთახი სასადილოთი და სხვა.



ზაჰესის გენერატორები.

ფოტო კოზაკის.

სადგურისა და პლეჴანოვის ქუჩის შუაში მდებარე ორ-ღობე (პასაჟ კროშკა) უკვე გააფართოეს სადგურის ქუჩის ზომაზე და უნდათ ეს გზა გაიყვანონ საბურთალოზე; მდინარე მტკვარზე გადონ ახალი ხიდი, რომლის პროექტი უკვე შემუშავებული აქვთ.

მელიქიშვილის ქუჩასაც ელოდება გაფართოება, ამას ლაპარაკობს ამ ქუჩაზე ყოველი ახლად აგებული სახლი.

ყურადღება მიექცა ელბაქიძის დაღმართის და ჟორესის ქუჩის გაფართოებას. ეს ისეთი მოძრავი ქუჩებია, რომ დიდი ხანია საჭირო იყო მათი გაფართოება. დიდ საქმედ უნდა ჩაეთვალოს ალმასკომს ვერის ახალი გზა და მდინარე მტკვრის კალაპოტის მოწყობა.

თბილისის ტრამვაის დირექციაც ენერგიულად განაგრძობს მუშაობას. 74 ცალი მოსკოვის ვაგონი შეიძინა. ტრამვაის ერთ მაგი ხაზი 63 კილომეტრის მანძილზეა გაყვანილი.

თბილისი დღითი-დღე იზრდება და ბუმბერაზულ სახეს ღებულობს.

არ გაივლის ბევრი წლები, ნავთლუღიდან მოყოლებული, ღრმაღელე, ქვემო და ზემო ავჭალა, მცხეთა, დიღომი და წყნეთი მჭიდრო მოსახლეობით იქნება თბილისთან გაერთიანებული და ტრამვაის ხაზით დაქსელილი.

საბჭოთა საქართველო ოქტომბრის ბრძოლის მეოხებით მტკიცეთ მიემართება სოციალიზმისაკენ.

გ. ნ—ძე

# თბილისის მაუდის ქარხანა ამუშავდა



დიდუბის მიმართულებით, ქალაქ გარეთ გასულ მოქალაქის ყურადღებას, უკვე 5—6 თვე იქნება, იქცევს ერთი უცნაური გრძელი და თეთრი შენობა. 21 ოქტომბერს, ამ შენობის სახურავიდან პირველად გამოჩნდა კვამლი, რომელმაც ამცნო ყველას, რომ... თბილისის მაუდის ფაბრიკა დღეიდან უკვე ამუშავებულია და შეუდგა კამვოლური ქსოვილების დამზადებას ჩვენი მუშებისა და გლეხებისათვის.

თბილისელ მოქალაქეებისათვის, საქართველოს საფეიქრო მრეწველობის ამ ისტორიულმა დღემ, შეუმჩნევლად ჩაიარა. არავინ არ იცოდა, რომ უნდა ამუშავებულიყო ჩვენი საფეიქრო მრეწველობის ეს გიგანტი, არავინ არ იცოდა, რომ 21 ოქტომბრიდან იწყებოდა ჩვენი სამრეწველო აღმშენებლობის მორიგი გამარჯვების ახალი თარიღი. თბილისის მაუდის ფაბრიკის პატრიოტი ამხ. დ. რუხაძე, რომელიც მზად არის თავისი სიცოცხლე მაუდის საქსოვ მანქანასთან გაატაროს, ამბობდა, რომ არ ღირს ზეიმით აღვნიშნოთ ქარხნის ამუშავების დასაწყისიო. საერთოდ, უკვე განვლო იმ პერიოდმა, როდესაც ვზეიმობდით თვითეული ახალი შენობის აგებას, ახალი არხის გაყვანას, ახალი ელექტრო სადგურის მოწყობას. საქართველოს მშრომელი ხალხი შეეჩვია გამარჯვებებს აღმშენებლობის ფრონტზე.

თბილისის მაუდის ფაბრიკაში ჯერჯერობით ამუშავებულია მხოლოდ რამოდენიმე ცეხი, ხოლო ყველა ცეხები ამუშავდებიან დეკემბრის შუა რიცხვებამდე. პირველ დამზადებულ ქსოვილის ფაბრიკა გამოუშვებს იანვრის პირველ რიცხვებში, ხოლო წარმოების ოფიციალური გახსნა მოხდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 8 წლის თავზე—25 თებერვალს. ფაბრიკის ყველა ცეხების ამუშავება ერთდროულათ შეუძლებელია, რადგან ფაბრიკა მუშაობს ე. წ. „ლენტის პრინციპით". თუ პირველმა ცეხმა არ დაამუშავა მეორე ცეხისთვის საჭირო მასალა, ისე მეორე ცეხი ვერ ამუშავდება.

ამჟამად ფაბრიკა უკვე მომარაგებულია 10 თვის სამყოფი ნედლეულით. შეძენილია, როგორც ადგილობრივი—თუშური, ისე საიმპორტო მატყლიც. გარდა მაუდისა ფაბრიკა დაამზადებს სხვადასხვა ხარისხის შევიოტებს და საერთოდ ე. წ. კამვოლურ ქსოვილებს. ფაბრიკა









მოწყობილია სულ უახლესი კონსტრუქციის სართავი და საქსოვი მანქანებით. კამვოლური ქსოვილების ერთი ცეხი აქ, მხოლოდ ინგლისური მანქანებითაა მოწყობილი. ინგლისი თავიდანვე ცნობილია მაუდის ქვეყნად. ინგლისელებს ჰქონდათ თავიანთი „საწარმოო საიდუმლოება". ვერც ერთ ქვეყანაში ვერ შოახერხეს მიეღოთ ისეთი მაღალხარისხოვანი მაუდი, როგორც ინგლისში. მხოლოდ გერმანელებმა შესძლეს მსგავსი მაუდის გამოშვება, მაგრამ გერმანული მაუდი, მიუხედავათ იმისა, რომ გარეგნულათ სავსებით ინგლისურს ჰგავდა, უფრო სუსტი აღმოჩნდა. როდესაც საქართველოს სახ. მეურნეობის საბჭომ გადასწყვიტა თბილისში აეგო ეს ქარხანა, სწორედ იმ ხანებში დაისვა საკითხი ინგლისიდან აღნიშნული „საწარმოო საიდუმლოების" შესყიდვის შესახებ. ეს იმას ნიშნავდა, რომ უნდა შეესყიდათ ინგლისური მანქანები და ნედლ მასალათ გამოეყენებიათ ისეთივე მატყლი, როგორსაც ინგლისში ხმარობდნენ. ეს გარემოება შედარებით აძვირებდა ფაბრიკის საერთო ღირებულებას, მაგრამ კარგი პროდუქციის მიღების სურვილმა დაბრკოლებები დაჩრდილა და შესაფერი შეკვეთებიც დანიშნულებისამებრ გაიგზავნა.

მოწყობილობათა მეორე ნაწილი გერმანულია. ისე, როგორც აფთიაქში სხვადასხვა წამლების დამზადება ხდება წინასწარ შედგენილი რეცეპტების თანახმად, ასევეა კამვოლური ქსოვილების დამზადების საქმეშიც. თვითეული ტიპისა და ხარისხის ქსოვილის განსაკუთრებული „რეცეპტია" საჭირო. ასეთი „რეცეპტების" საიდუმლოება უკვე კარგათ ცნობილია ყველა იმ სპეციალისტებისათვის, რომლებიც თბილისის მაუდის ფაბრიკაში მუშაობენ.

საფეიქრო მრეწველობის ბაზისი მეცხვარეობაა. ჩვენში კი მეცხვარეობის განვითარებას უდიდესი პერსპექტივები აქვს. ფართო მომავალი აქვს ჩვენ საფეიქრო მრეწველობასაც. გაივლიან წლები და შთამომავლობა გაიხსენებს საქართველოს საფეიქრო მრეწველობის აღორძინების დასაწყისს—1929 წლის 21 ოქტომბერს. საქართველოს საფეიქრო მრეწველობა გადაიქცევა სახალხო მეურნეობის ერთ უმთავრეს დარგათ და სოციალისტური მეურნეობის ბურჯათ.

დ. ლ.



ადგილი ამხ. ლენინის ახალი მავზოლეის ასაშენებლად.



„წითელ პუტილოვის“ სატრაქტორო ცეხი, სადაც დამზადდა წლის განმავლობაში 3.050 ტრაქტორი და გაეგზავნა სოფლის კოლმეურნეობებს

# თბილისი შენდება



ნაძალადევში რკინის-გზელ მუშათა 4 სართულიანი სახლი, 57 ოთახით და ქვეშ ზაკტეპოს უნივერსალური მაღაზიით.






აბრეშუმის საქროვი ქარხნის ნახევრად დამთავრებული შენობა (ვერაზე, თბილისში,





მუშკოოპის დახურული ბაზარი, ავლაბარში კახეთის მოედანზე

მუშკოოპის მექანიკური ფურნე, (ორჯონიკიძის ქ.) დამთავრების რიგში. დღე-ღამეში გამოცხვება 3,000ფ.



გურია—სადაც სწარმოებს ნავთის ძიება.

საქ. კინო ფაბრიკის ახლად დამთავრებული შენობა, ვერე ხანოვის ქუჩაზე



ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის ბაღი, საიდანაც ჰკვებავენ მოშენებულ ცხოველებს.

# გულშემზარავი წიგნი

## იუჯინ ლაიონს.—„საკოსა და ვანცეტის ცხოვრება და სიკვდილი“



ბართოლომეო ვანცეტი



ნიკოლა საკო

შეერთებული შტატები ითვლება არა მარტო მაღალი ტეხნიკისა და მრეწველობის ქვეყნად, არამედ აგრეთვე „თავისუფლებისა“ და დემოკრატიის“ ქვეყნადაც, „სამოთხედ“, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს მენშევიკი და სხვა ჯურის „დემოკრატები“.

იუჯინ ლაიონსი, შეერთებული შტატების ერთ-ერთი გამოჩენილი ჟურნალისტი, თავის შესანიშნავ წიგნში „საკოსა და ვანცეტის ცხოვრება და სიკვდილი“ („ზემლია ი ფაბრიკა“-ს გამოცემა, 1929 წ.) ქვას-ქვაზე არ ტოვებს ამ ლეგენდიდან „ამერიკული თავისუფლების“ შესახებ, რომელსაც ასე თავგამოდებით ავრცელებენ მეორე ინტერნაციონალის მესვეურები.

ამერიკის ბურჟუაზიას ჯერ არ განუცდია ისეთი კლასობრივი ქარტეხილები, რომლებმაც გადაუარა ევროპას. მაგრამ ის გრძნობს ამ კლასობრივ შერყევათა აუცილებლობას და ყოველივე საშუალებით სცდილობს თავიდან აიცილოს იგი. არც ერთი ქვეყნის ბურჟუაზიას ისე მოხერხებულათ არ გამოუყენებია თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად სახელმწიფო აპარატი, სასამართლო, სარწმუნოება, შეიარაღებული ძალები, როგორც ამერიკის ბურჟუაზიას. ამერიკაში იდევნება ყოველივე, რასაც ოდნავ მაინც შეუძლია ზიანი მიაყენოს შეხედულებებს, რომლებიც ბურჟუაზიის ბატონობის ქვაკუთხედს წარმოადგენს. მეფის რუსეთშიც კი არ იდევნებოდა დარვინიზმი, ამერიკაში კი მას სდევნიან ისე, როგორც საშუალო საუკუნოების ერეტიკოსებს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ბედი მოელის ყოველ ჭეშმარიტ რევოლიუციონერს! საკმაოა ვინმემ დაიმსახუროს „წითელის“ სახელი, რომ თავის თავს თავისივე ხელით გამოუტანოს სასიკვდილო განაჩენი: თუ პოლიციას გადაურჩა, სადმე კუკ-კლუკს-კლანის (ფაშისტური ორგანიზაციის) წევრები ჩამოჰკიდებენ ხეზე ამერიკის ბურჟუაზია თავის კლასობრივ მტრებს უსწორდება საშინელის სიმკაცრით. მისმა შურისძიებამ არ იცის საზღვარი.

აი ამ კლასობრივი შურისძიების მსხვერპლი შეიქნა ორი იტალიელი ემიგრანტი მუშა ბართოლომეო ვანცეტი და ნიკოლა საკო. მათი ცხოვრებისა და 7 წლის განმავლობაში ელექტრონის სკამზე სიკვდილის საშინელი მოლოდინის შესახებ მოგვითხრობს იუჯინ ლაიონის მიერ ყურადღებით შეკრებილ მასალები.

***

ეს იყო იმ პერიოდში, როცა რუსეთის მუშებსა და გლეხებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდათ თეთრგვარდიელებთან და მათ დასახმარებლად მოსულ ინგლისელებთან, ფრანგებთან, ამერიკელებთან, იაპონელებთან, ბერძნებთან და სხვ., როცა „წითელი საფრთხე“ ჩამოაწვა მთელ ქვეყნიერებას და ამერიკელ სენატორებისაგან შემდგარი სასამართლო „ასამართლებდა“ ოქტომბრის რევოლიუციას ისეთი „საბუთების“ მიხედვით, როგორც მაგალითად „ქალების ნაციონალიზაცია“, „ბავშვების თითებიდან გაკეთებული სუპი“ და სხვ. ამერიკის შავრაზმულმა პრესამ მოშხამა ატმოსფერა ამგვარი ჭორებით საბჭოთა კავშირზე და ყველა კუთხეში გაისმოდა ბრბოს ყიჟინა „დაჰკა წითლებს!“. პოლიციამ და სამოსამართლო ორგანოებმა მოახდინეს ყველა ბნელი ძალების და შპიკების მობილიზაცია წითლებზე სანადიროდ, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ყველა საეჭვოს, განსაკუთრებით ემიგრანტებს, ვისაც საბჭოთა რუსეთისადმი თანაგრძნობას დასწამებდენ, აპატიმრებდნენ და აძევებდნენ ამერიკიდან უგროშკაპეიკოდ, ხშირად ატოვებინებდნენ ცოლშვილს, უმწეო ნათესავებს. დაპატიმრება და გაძევება ყველაზე რბილი ზომა იყო იმ რისხვიდან, რომელიც ამერიკის ბურჟუაზიამ თავის კლასობრივ მტრებს დაატეხა თავს. წითლებს ულეტდნენ ყოველ გზა-ჯვარედინზე, არბევდნენ მათ ბინებს, ერთი სიტყვით ეპყრობოდნენ ისე, როგორც ბანდიტს არ მოეპყრობიან.

***

ასეთი ატმოსფერა იყო გამეფებული, როცა საკო და ვანცეტი ხელში ჩაუვარდა ამერიკის პოლიციას. ოფიციალურად მათ აბრალებდნენ



ამერიკის „თავისუფლების“ ძეგლის ნამდვილი სახე

მოლარე ბერარდელის მოკვლას და გაძარცვას, მაგრამ მოსამართლე ტეიერისა და მთელი ბურჟუაზიული პრესის პოზიცია უდავოდ ამტკიცებდა, რომ აქ ადგილი აქვს ბურჟუაზიის შურისძიებას, რომ საკოსა და ვანცეტის უსწორდებიან როგორც კლასობრივ მტრებს. მოსამართლე უებსტერ ტეიერი არ მალავდა ამას.

„ბრალდებულის იდეალები და დანაშაული ერთი და იგივეა“-ო განაცხადა მან სასამართლოში, ე. ი. სულ ერთია რისთვისაც არ უნდა იყოს მიცემული პასუხისგებაში ბურჟუაზიის ორი ტყვე. რომც მათ მოლარის მოკვლა და გაძარცვა არ დაუმტკიცდეს, ისინი მაინც ბანდიტები არიან, როგორც წითლებიო,—აი რას ნიშნავდა ტეიერის განცხადება და მთელი ბურჟუაზია იზიარებდა ამ აზრს. იგი მოითხოვდა წითლების სისხლს, ამით სურდა დაეშინებია მუშათა მოძრაობა, და სულ ერთია რა საბაბით დასწვავდა ელექტრონის სკამზე ორ მუშას, რომელთა მთელი დანაშაული იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ თავიანთ კლასობრივ იდეალებისათვის.

***

მაგრამ საკოსა და ვანცეტის მოსათავსებლად ელექტრონის სკამზე საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ ნამდვილათ მათ მოჰკლეს და გაძარცვეს მოლარე. ამას ეწინააღმდეგებოდა ყველაფერი; ბრალდებულთა მსოფლმხედველობა, მათი ალიბი და მრავალი სხვ. მაგრამ ელექტრონის სკამის გმირებმა ხელთ ჩაიგდეს ორი მსხვერპლი და გადასწყვიტეს არამც და არამც არ გაეშვათ ისინი ხელიდან. გათამაშებული იქნა გასამართლების კომედია, რომლის მსგავსი თავისი ცინიური და ფარისევლური ხასიათით, საეჭვოა რომ ახსოვდეს ისტორიას. 7 წელიწადს გაგრძელდა გასამართლების ეს კომედია, 7 წლის განმავლობაში ბურჟუაზიის ორი ტყვე ყოველ ღამე ელოდა, რომ მათ დასვამდნენ ელექტრონის სკამზე და მრავალათას ვოლტიანი ელექტროდენი თვალის დახამხამებაში დაფერფლავდა მათ სხეულს.

მთელი რიგ მოწმეთა ჩვენებით უდაოთ დადასტურდა, რომ მოლარის მოკვლის დილას ვანცეტი თევზებს ჰყიდდა თავის თანამემამულე ემიგრანტთა ორის, საკო კი იჯდა კაფეში. მაგრამ სასამართლომ ამ უტყუარი ფაქტებით ხელმძღვანელობას ამჯობინა მიემართა „გამოცნობის“ საეჭვო ხერხისათვის. მკვლელობის და გაძარცვის საეჭვო მოწმეების ჩვენების მიხედვით სასამართლო შეუდგა იმის მტკიცებას, რომ მძარცველები უსათუოდ უნდა ყოფილიყვნენ საკო და ვანცეტი, რადგან ერთ ბოროტმოქმედს ვითომ ისეთივე ქუდი ჰქონდა, როგორც ვანცეტის, ან ისე დადიოდა, „როგორც დადიან იტალიელები“, ან იმიტომ, რომ საკოს აღმოაჩნდა ისეთივე რევოლვერი, როგორიც მოკლულ მოლარეს ჰქონდა და სხვ.

ამ „საბუთების“ მიხედვით საკოსა და ვანცეტის გადაუწყვიტეს სიკვდილი ელექტრონის სკამზე ეს იყო 1921 წლის მაისში.

***

— Sono innocente *) —დაიძახა საკომ თავის რკინის გალიიდან ქ. დედხემის სასამართლოში, როცა ტეიერმა გამოაქვეყნა განაჩენი.

— უდანაშაულოებს ჰკლავენ,— დამშვიდებით წარმოსთქვა ვანცეტიმ.

ამ მომენტამდე საკოსა და ვანცეტის საქმე საზოგადოებრივი ყურადღების გარეშე მიმდინარეობდა. მაგრამ ამ ბარბაროსულმა განაჩემა ერთბაშად აალაპარაკა ქვეყნიერება. უცნაურად მოგვეჩვენება, ერთის შეხედვით, მაგრამ მძლავრი გამოხმაურება პროცესმა პირველად ჰპოვა ევროპაში. ეს, რასაკვირველია, იმას უნდა მიეწეროს, რომ ევროპის მუშათა კლასი უფრო შეკავშირებულია და მასში უფრო ძლიერია კლასობრივი სოლიდარობის გრძნობა.

თითქმის ყველა ქვეყნებში შეერთ. შტატე-

*) უდანაშაულო ვარ.

ბის საელჩოების უბანი მშრომელთა მასიური საპროტესტო დემონსტრაციების ასპარეზად გადაიქცა. მშრომელთა აღშფოთებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ბევრგან ამერიკის საელჩოებში ბომბები შეაგდეს. ამ ბომბების აფეთქებამ გამოაღვიძა ამერიკის საზოგადოების პროგრესიული ნაწილი და დაიწყო მძლავრი მოძრაობა საკოსა და ვანცეტის გადასარჩენად.

მაგრამ ამავე დროს ირაზმებოდა მეორე ბანაკიც, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა არ გაეშვა ორი მსხვერპლი. ამ ბანაკმა საკოსა და ვანცეტის მიმართ გამოტანილი განაჩენის სისრულეში მოყვანა სახელმწიფოებრივი ღირსების საქმედ გამოაცხადა და გამოიყენა მთელი თავისი გავლენა, მთელი სახელმწიფოებრივი მექანიზმი, რომ ფეხქვეშ გაეთელა საკოსა და ვანცეტის უდანაშაულობის დამამტკიცებელი ყველა საბუთები და საზოგადოებრივი აზრის ერთსულოვანი პროტესტი.

***

დამცველებმა განაჩენი გაასაჩივრეს უზენაეს სასამართლოში, რომელმაც საქმე გაარჩია მხოლოდ 4 წლის შემდეგ—1925 წ. 12 მაისს და დაამტკიცა ტეიერის მიერ გამოტანილი განაჩენი.

უზენაესი სასამართლო ხელმძღვანელობდა იმავე მოსაზრებით, როგორც მოსამართლე ტეიერი: „ბრალდებულთა იდეალები და დანაშაული იგივეა“.

მოულოდნელად საკოსა და ვანცეტის საქმეში თითქო გარდატეხა მოხდა. ერთ დღეს გაზეთებმა ამცნეს ქვეყნიერებას, რომ ნაპოვნია მოლარეს ნამდვილი მკვლელი—ჩელესტინო მადეროს, წევრი მორელის ბანდის, რომელიც შიშის ზარს სცემდა ქ. პროვიდენსის მოსახლეობას. ჯერ კიდევ სანამ საკოსა და ვანცეტის სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდნენ, სხვა საქმეზე დაპატიმრებული მადეროსი ტრაბახობდა ციხეში, რომ მან „იცის ზოგი რამ მოლარის მოკვლის შესახებ“. მადეროსს სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი რენტამის ბანკის გაძარცვისა და მოლარის მოკვლისათვის და განაჩენის სისრულეში მოყვანამდე ის მოათავსეს დედხემის ციხეში, სადაც იმყოფებოდა საკკო. აქ, მადეროსი გამოტყდა, რომ ბოროტმოქმედება, რომელსაც საკოსა და ვანცეტის აბრალებენ, ნამდვილად ჩაიდინა მორელის ბანდამ.

საკოსა და ვანცეტის მეგობრებს იმედი მიეცა. მაგრამ ტეიერმა ჩქარა დაუმტკიცა მათ, რომ მათი იმედები ამაო იყო. მან უყურ დღებოდ დასტოვა მადეროსის ჩვენება და დაადასტურა თავისი განაჩენი.

***

1927 წლის 12 აპრილს საკკო და ვანცეტი მიიყვანეს დედხემის სასამართლოში განაჩენის მოსასმენად და აი იქ, დედხემის სასამართლოში, დატრიალდა თავისი სიდიადით ამაღელვებელი ამბავი. ტეიერი, ბანკირების და კაპიტალისტების ერთგული მსახური, ბრალმდებლიდან და მოსამართლიდან გადაიქცა ბრალდებულად. ორმა გმირმა მუშამ, სამარის კარზე მდგარმა, სახეში ესროლა მას ბრალდებათა მთელი მთა, ამოააშკარავა მთელი მისი მახინაციები. ამავე დროს ეს იყო ბრალდება ექსპლოატატორთა მთელი კლასის მიმართ, რომელიც კლასობრივი შურისძიების გრძნობით დაბრმავებული, თავის კანონებსაც კი ფეხქვეშ თელავდა, რომ კლასობრივ მტრებს გასწორებოდა.

ტეიერი ცახცახებდა, როცა უნებურად ისმენდა საკოსა და ვანცეტის პროლეტარული გამბედაობით სავსე სიტყვებს და გამშრალი ბუტბუტებდა:

— მსაჯულებმა გადასწყვიტეს ეს და არა მე, მსაჯულებმა და არა მე, კანონმა და სასამართლომ და არა მე.

„—მე ვიცი, რომ აქ სწყდებოდა დავა ორ კლასს შორის, დაჩაგრულთა და მქონებელთა შორის და რომ ერთსა და მეორეს შორის მუდამ იქნება ბრძოლა. აი ამიტომ ვზივარ მე დღეს აქ, ამ სკამზე, — იმიტომ, რომ მე ვეკუთვნი დაჩაგრულთა კლასს. დიაღ, თქვენ ხართ მჩაგვრელნი“, —აღშფოთებით წამოიძახა ნ ი კ ო ლ ა ს ა კ კ ო მ.

— მე არ უსურვებდი არც ძაღლს, არც გველს, არც უკანასკნელს და უუბედურეს არსებას დედამიწაზე განეცადა ის, რაც მე განვიცადე მოქმედებისთვის, რომელშიც უდანაშაულო ვარ. მე ვიტანჯები იმისთვის, რომ რადიკალი ვარ, და მართლაც, მე ვარ რადიკალი; მე ვიტანჯები იმისთვის, რომ ვარ იტალიელი, და მართლაც, მე იტალიელი ვარ. ყველაზე მეტად მე ვიტანჯებოდი ჩემი ოჯახისთვის, იმათთვის, ვინც ჩემთვის ძვირფასია, ვიდრე ჩემი თავისთვის. მაგრამ მე ისე ვარ დარწმუნებული ჩემს უდანაშაულობაში, რომ თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ ერთხელ მომკლათ, მაგრამ, რომ თქვენ შეგეძლოთ ორჯერ მომკლათ მე, მე კი შემეძლოს ორჯერ ვიშვა ქვეყნიერებაზე, მე კვლავ ვიცხოვრებდი იმისთვის, რასაც ამდენხანს ვაკეთებდი,“ — ასე დაათავა თავისი სიტყვა ბ ა რ ტ ო ლ ო მ ე ო ვ ა ნ ც ე ტ ი მ.

ტეიერმა ილაპარაკა ბოლოს. მან წაიკითხა განაჩენი. სხვა რა უნდა ეპასუხნა მას ბრალდებულთა აღშფოთების აღსავსე მხილებაზე.

„და დადგენილ იქნა, რომ თქვენ, ნიკოლა საკკო.... და თქვენ, ბარტოლომეო ვანცეტი დასჯილ იქნეთ სიკვდილით, თქვენს სხეულში ელექტროდენის გატარებით, არა უგვიანეს ერთი კვირისა, დაწყებული კვირიდან, ივლისის 10 დღესა. წელიწადი ღვთისა ჩვენისა ათას-ცხრაას ოცდა-შვიდი. ასე ამბობს კანონი!“.

***

საკოსა და ვანცეტის მეგობრებს უკანასკნელი იმედი დარჩათ, ისინი ფიქრობდნენ, რომ მასაჩუზეტსის შტატის გუბერნატორი ფ უ ლ ლ ე რ ი არ დაამტკიცებდა განაჩენს. ფულლერმა თვით მოჰკიდა ხელი საქმის „გამოძიებას“. მათ წარადგინეს აუარებელი დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებდნენ ტეიერის მტრულ განწყობილებას ბრალდებულთადმი. 3 აგვისტოს ფულლერმა გამოიტანა თავისი დასკვნა — სავსებით დაადასტურა ტეიერის მიერ გამოტანილი განაჩენი

ორი პატიმრის სიკვდილით დასჯამდე დარჩა 7 დღე. „7 დღე, რომელმაც შესძრა ქვეყნიერება“, როგორც ამბობს იუჯინ ლაიონსი.

მთელს ქვეყნიერებაზე გადაიარა პროტესტების გრიგალმა. შეერთ. შტატებს გარეთ რეაქციონური გაზეთებიც კი ლმობიერებას მოითხოვდნენ საკოსა და ვანცეტის მიმართ. მაგრამ ამერიკელმა რეაქციონერებმა მტკიცედ გადასწყვიტეს არ დაეხიათ უკან.

„ნაციონალური დამცირება და უსირცხვილო, მხდალური კომპრომისი იქნებოდა ნაციონალური თავმოყვარეობისათვის, თუგინდ ოდნავი ყურადღების მიქცევა უცხოეთის პროტესტებზე ან ბრბოს პროტესტებზე ჩვენში“, — ასე სწერდა სენატორი ბორა პროტესტების გამო, რომელიც ფულლერის „დასკვნამ“—გამოიწვია.

განაჩენის სისრულეში მოყვანა დანიშნული იყო 10 აგვისტოსთვის. მაგრამ 36 წუთით ადრე განაჩენის მოყვანამდე ფულლერმა 23 აგვისტომდე გადასდო დასჯა.

პროტესტების ტალღა გრძელდებოდა. მაგრამ არაფერმა გასჭრა. განაჩენის სისრულეში მოყვანის დღე ულმობელად ახლოვდებოდა. საკკო და ვანცეტი მხნედ ეგებებოდნენ სიკვდილის საათს. ისინი მადლობის გრძნობით იყვნენ გამსჭვალული მილიონ მეგობრების მიმართ, რომლებმაც ყოველივე საშუალება იხმარეს, რომ სიკვდილის ბრჭყალებიდან გამოეგლიჯათ ისინი.

„მეგობრებო და ამხანაგებო, — სწერდნენ საკო და ვანცეტი მათ დამცველ კომიტეტს, — ახლა, როცა გასამართლების კომედია დასასრულს უახლოვდება, იყავით ერთსულოვანი. მოვკვდებით მხოლოდ ჩვენ ორნი. ჩვენი იდეალები და თქვენ, ამხანაგებო, იცოცხლებთ. ჩვენ გავიმარჯვეთ; ჩვენ არა ვართ დამარცხებული. შეინახეთ და გამოიყენეთ ჩვენი ტანჯვა, ჩვენი მწუხარება, ჩვენი შეცდომები, დამარცხებანი და ჩვენი წამება მომავალი ბრძოლებისა და მშრომელთა დიადი განთავისუფლებისათვის“.

***

საკოსა და ვანცეტის მოკვლის დღეს ბოსტონი ალყაშემორტყმულ ქალაქს ემსგავსებოდა. ქუჩები ჯარსა და პოლიციას ჰქონდა დაკავებული.

საღამოს 7 საათზე საკკოს მისცეს ცოლის ნახვის ნება, ვანცეტის კი—იტალიიდან ჩამოსული დის.

ღამის სრულ 12 საათზე მსჯავრდადებულთა საკანიდან პირველად გაიყვანეს მადეროსი. რამდენიმე წუთის შემდეგ მიაკითხეს საკკოს.

ის მაგრათ მიაკრეს ელექტრონის სკამზე.

— მშიდობით ცოლო, მშვიდობით შვილო მშვიდობით ყველა მეგობრებო, დაიძახა საკკომ. ელექტროდენმა გუგუნით გაიარა ტანში. ეს იყო 23 აგვისტოს ღამის 12 ს. და 19 წუთზე.

12 საათზე და 26 წუთზე გაათავა თავისი სიცოცხლე ბარტოლომეო ვანცეტიმ.

ბურჟუაზიამ შური იძია ორ წითელზე იმ შიშისათვის, რომელიც მას აგემა ოქტომბრის რევოლიუციამ და მუშათა მოძრაობამ. მათ მოჰკლეს ორი მებრძოლი, მაგრამ ვერ მოჰკლავენ რევოლიუციონურ სულს, რევოლიუციონურ იდეალებს, რომელიც თანდათან იკვლევს გზას ამერიკის მუშათა ბრძოლაში. მილიონი გამოღვიძებული მონები განაგრძობენ საკოსა და ვანცეტის საქმეს.

**ე. წ.**

—

P. S. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი სახელგამი იკისრებდეს იუჯინ ლაიონსის ამ შესანიშნავი წიგნის გამოცემას ქართულ ენაზე.

ე. წ.



ბერლინში შემოიღე მოლაპარაკე ბარათები. მოკითხვის აბავი გადააქვთ გრამაფონის ფირფიტაზე და მიმღები გრამაფონზე ადგილობრივ ისმენს წერილის შინაარს.



საკავშირო სმუს კომისია რიონჰესის გვირაბთან.

# საბჭოთა ახალი კალენდარი

ძველი კალენდარის უხერხულობა დიდიხანია ცნობილია. კაპიტალისტური ქვეყნებიდან განსაკუთრებით ამერიკაში სცდილობენ ახალი კალენდრის შედგენას, რომელიც მრეწველობის ტემპს ეგუებოდეს. მაგრამ სადღესასწაულო დღეები და ბიბლიური წელთ აღრიცხვის ტრადიციის დაცვა ფრიად აფერხებს კალენდრის რეფორმის საკითხს.

სულ სხვაა საბჭოთა ქვეყანა. აქ დიდიხანია რელიგიას აეგო ანდერძი და ცრუმორწმუნოებისაგან განიტვირთა ქვეყანა. ამიტომ კალენდრის შეცვლის საკითხი დიდ დავას არ იწვევს.

ამასთან ერთად კალენდრის შეცვლის საკითხი დღეს მით უფრო დასაჩქარებელია, რომ ხუთწლიან გეგმის მიერ 3 ზნად დასახულ მშენებლობას სჭირია უფრო მიზანშეწონილი საანგარიშო წელი.

ყველა წარმოდგენილ პროექტებიდან მოწონებულია ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემოღება. ა. წ. 2ი აგვ. საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებით ყველა საარეწველო დარგები ნელნელა უნდა განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადავიდენ, მაგრამ ისე, რომ ადამიანმა დროზე დაისვენოს კულტურულ მიზნებისა და განვითარების მისაღწევად, ხოლო მანქანამ გამუდმებით იმუშაოს. ამის მისაღწევად კი მხოლოდ ხუთდღიანი სამუშაო კვირა იძლევა შესაფერ შესაძლებლობას. ახალი შრომის რეჟიმით ოთხ დღეზე იმუშავებს ადამიანი და მეხუთეზე ისვენებს.

ახალი კალენდარით მთელი წელი იყოფა თანასწორ თვეებათ, კვირეებათ და დღეებათ. თვეების რიცხვი ძველებურია—თორმეტი, თვითეულ თვეში 30 დღე, თვეში ოთხი კვირის ნაცვლად იქნება ექვსი, მაშასადამე, წლიურად გვექნება 72 კვირა.

კალენდარში არ შედის 5 სადღესასწაულო დღე, ესენი რჩებიან ურიცხვოდ, როგორც ნაკიანი წლის ზედმეტი ერთი დღე.

ამ კალენდარის პროექტის უპირატესობა კიდევ ისაა, რომ ყველა თვეებში თვითეული კვირის დღეები ერთსა და იმავე რიცხვებში ხვდება, რაიც აადვილებს ყოველნაირ ანგარიშწარმოებას.

საზოგადოთ ასეთი კალენდარის სარფიანობა ფრიად თვალსაჩინოა: იგი თანასწორად იყოფა ორად, სამად, ოთხად და სხვა. ასევე ადვილია თვით თვეების დაყოფა ორად, სამად, ოთხად და სხვა.

თავისთავად ცხადია, ეს კალენდარი მარადიული იქნება, მაშასადამე, მისი ყოველწლიურად დაბეჭდვა საჭირო აღარ იქნება.

ახალი კალენდრით წელთაღრიცხვა იწყება 1917 წლიდან.

არის წინადადება, შეიცვალოს თვეებისა და დღეთა სახელები: პირველი დღე—ვარსკვლავი, მეორე—ნამგალი, მესამე—ჩაქუჩი, მეოთხე—ძნა, მეხუთე—დროშა, ესე იგი ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი.

ახალი კალენდრისთვის შაბათი და კვირა მოსპობილია.

## ხუთდღიანი კვირა განუწყვეტელი წარმოების დროს

(საკ. ს. მ. უ. საბჭოს კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი)

| დღეებ. სახელწოდება | იანვარი | თებერვალი | მარტი |
|---|---|---|---|
| ორშაბათი . . . . . | 1 6 11 16 21 26 | 1 6 11 16 21 26 | 1 6 11 16 21 26 |
| სამშაბათი . . . . . | 2 7 12 17 22 27 | 2 7 12 17 22 27 | 2 7 12 17 22 27 |
| ოთხშაბათი . . . . . | 3 8 13 18 23 28 | 3 8 13 18 23 28 | 3 8 13 18 23 28 |
| ხუთშაბათი . . . . . | 4 9 14 19 24 29 | 4 9 14 9 24 29 | 4 9 14 19 24 29 |
| პარასკევი . . . . . | 5 10 15 20 25 30 | 5 10 15 20 25 30 | 5 10 15 20 25 30 |

| | აპრილი | მაისი | ივნისი |
|---|---|---|---|
| ორშაბათი . . . . . | 1 6 11 16 21 26 | 1 6 11 16 21 26 | 1 6 11 16 21 26 |
| სამშაბათი . . . . . | 2 7 12 17 22 27 | 2 7 12 17 22 27 | 2 7 12 17 22 27 |
| ოთხშაბათი . . . . . | 3 8 13 18 23 28 | 3 8 13 18 23 28 | 3 8 13 18 23 28 |
| ხუთშაბათი . . . . . | 4 9 14 19 24 29 | 4 9 14 19 24 29 | 4 9 14 19 24 29 |
| პარასკევი . . . . . | 5 10 15 20 25 30 | 5 10 15 20 25 30 | 5 10 15 20 25 30 |

| | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი |
|---|---|---|---|
| ორშაბათი . . . . . | 1 6 11 16 21 26 | 1 6 11 16 21 26 | 1 6 11 16 21 26 |
| სამშაბათი . . . . . | 2 7 12 17 22 27 | 2 7 12 17 22 27 | 2 7 12 17 22 27 |
| ოთხშაბათი . . . . . | 3 8 13 18 23 28 | 3 8 13 18 23 28 | 3 8 13 18 23 28 |
| ხუთშაბათი . . . . . | 4 9 14 19 24 29 | 4 9 14 19 24 29 | 4 9 14 19 24 29 |
| პარასკევი . . . . . | 5 10 15 20 25 30 | 5 10 15 20 25 30 | 5 10 15 20 25 30 |

| | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|
| ორშაბათი . . . . . | 1 6 11 16 21 26 | 1 6 11 16 21 26 | 1 6 11 16 21 26 |
| სამშაბათი . . . . . | 2 7 12 17 22 27 | 2 7 12 17 22 27 | 2 7 12 17 22 27 |
| ოთხშაბათი . . . . . | 3 8 13 18 23 28 | 3 8 13 18 23 28 | 3 8 13 18 23 28 |
| ხუთშაბათი . . . . . | 4 9 14 19 24 29 | 4 9 14 19 24 29 | 4 9 14 19 24 29 |
| პარასკევი . . . . . | 5 10 15 20 25 30 | 5 10 15 20 25 30 | 5 10 15 20 25 30 |

# იაპონიის საბავშვო წიგნის გამოფენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვ. ლუარსამიძე

„ხალხი, რომელსაც თავისი ბავშვები არ უყვარს, უნდა დაიღუპოს“—ასე ფიქრობს იაპონელი. რასაკვირველია, არც საბჭოთა კავშირის მშრომელი მასა ჩამორჩება იაპონელებს ბავშის საზოგადოებრივ აღზრდაში, პირიქით, ჩვენ გაუსწარით ყველა სახელმწიფოს, განსაკუთრებით სკოლის ასაკამდე ბავშვების შრომისას აღზრდაში. თუ სათანადოდ გაეცნობით საბჭოთა ბავშვების ცხოვრებას და საქმიანობას, ჩვენი სოციალური აღზრდის დაწესებულებებს და საბჭოთა საბავშვო ლიტერატურას, ზემოთქმულში თვალსაჩინოდ დარწმუნდებით; საბჭოთა საბავშვო ლიტერატურამ დიდი ყურადღება დაიმსახურა გრაფიკულ გამოფენებზე გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში და დანიაში. კერძოდ, საქართველოს სახელგამის მიერ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გამოცემულ პიონერულ—საბავშვო ლიტერატურას იდეოლოგიურ-ლიტერატურულად და ტექნიკურად უკვე მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს, რაც არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული საბავშვო წიგნის სპეციალისტების და სადირექტივო ორგანოების მიერ.

თუ კაპიტალისტური დასავლეთი დიდის ინტერესით ეცნობა საბჭოთა საბავშვო ლიტერატურას და პოლიგრაფიულ ტექნიკას, ჩვენც მოვალენი ვართ საფუძვლიანად გავეცნოთ საზღვარგარეთის საბავშვო წიგნსა და პრესას, კრიტიკულად შევაფასოთ ის და რაც საზოგადოებრივად ღირებულია მასში, გამოვიყენოთ ჩვენი საბავშვო ლიტერატურის მშენებლობის საქმეში.

გარდა იმისა, რომ ამ გამოფენას ვიწრო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, გამოფენა გარკვეულად პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაცაა, ვინაიდან ეს კულტურულად აახლოვებს ერთმანეთთან სხვადასხვა სახელმწიფოს.

სწორედ ამ მიზნით საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოების („ვოკს“) ინიციატივით მოსკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა დიდ ცენტრებში მოეწყო იაპონური საბავშვო წიგნის და ბავშთა შემოქმედების დიდი გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო 1450 წიგნი—ექსპონატი. ასეთივე გამოფენა მოეწყო თბილისში.

თბილისში მოწყობილ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნა 300-მდე ექსპონატი, რომელიც შემდეგ მთავარ ჯგუფებად იყოფა: 1. წიგნაკი—სურათი, წიგნაკი—სათამაშო და „კინო-წიგნაკი“, 2. ზღაპრები, ლეგენდები და მოთხრობები, 3. ისტორიული ლიტერატურა, 4. საბავშვო თეატრი და თამაშობანი, 5. მეცნიერება ბავშთათვის, 6. საბავშვო ჟურნალები და გაზეთები, 7. ნოტები, 8. სასწავლო წიგნები, 9. წიგნები აღმზრდელთა და მშობლებთათვის.

პირველი ჯგუფი წარმოდგენილი იქნა სრულად და თავისი გარეგნობით მისაწვდომია იაპონური ენის არამცოდნეთათვისაც კი. სქელ ქაღალდზე ან მუყაოზე დაბეჭდილი ჭრელი წიგნაკები ნაირ სურათებს იძლევიან ბავშების და მოზრდილთა ყოფაცხოვრებიდან; აქვე შეხვდებით ცხოველთა სამეფოს და ბუნებას, მიმოსვლის საშუალებებს (ყველაზე უკეთ მიმოსვლის საშუალებებია დამუშავებული), ბოლოს იაპონურ ზღაპრებს და გმირული ხასიათის წიგნაკებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 1 ჯგუფი ბავშებს სისტემატიურად და მოხდენილად უნერგავს შოვინიზმის, მილიტარიზმის და იმპერიალიზმის იდეებს (წიგნაკები ჯარის, ფლოტისა და ომების შესახებ) და ზრდის იაპონიის იმპერიალიზმის მსახურებს და მონებს. საერთოდ, აღნიშნული ჯგუფი დეკორატიული სიმდიდრით ხასიათდება, თუმცა გარეგნულად მდარე ხარისხის წიგნი იაპონურ ლიტერატურაში ცოტა არაა. სათამაშო წიგნაკებს შორის ვხვდებით აგრეთვე ევროპაში გავრცელებულ მუყაოს შირმებს და ე. წ. „კინო წიგნაკებს“.

მეორე ჯგუფი უფრო ღირებულია ლიტერატურული და გრაფიკული მასალის მხრივ. ჩვენ შევხვდებით აქ ძველ და ახალ იაპონურ ზღაპრებს, მოთხრობებს, ჩინურ და კორეულ კრებულებს. დასავლეთ ევროპის კლასიკური ლიტერატურის ნაწილს, ტოლსტოის საბავშვო მოთხრობებს, კრილოვის იგავ-არაკებს და რუსულ ზღაპრებს. ყველაზე ღირებულ ილიუსტრაციებს (შავი და ფერადი) ჩვენ ამ ჯგუფში შევხვდებით. პირდაპირ გაოცებს განთქმული იაპონური გრაფიკა!

ისტორიული ლიტერატურა უმთავრესად ამუშავებს განსაკუთრებულ მასალას იაპონიის პოლიტიკური ისტორიიდან (იაპონიის იმპერია, გენერალი ნოგი და სხვ.) თავისთავად ცხადია, რომ ასეთი ნაციონალისტური და იმპერიალისტური სულისკვეთებით გამსჭვალული ლიტერატურა ჩვენთვის მიუღებელია. ხსენებულ ჯგუფში ვხვდებით აგრეთვე დიდი ადამიანების ბიოგრაფიებს ბეთხოვენი, შექსპირი) და სხვ.

იაპონური საბავშვო თეატრის რეპერტუარი უმნიშვნელოა და მასში გაბატონებულია ზღაპრული და გმირული სიუჟეტები; ამ ჯგუფში ვხვდებით მეთოდურ წიგნებსაც ბავშვებს შორის თეატრალური მუშაობის შესახებ. საბჭოთა კავშირი მოფენილია ნორჩ მაყურებელთა თეატრებით, მაგრამ თითქმის არ მოგვეპოვება მეთოდური ლიტერატურა ბავშებს შორის თეატრალური მუშაობის შესახებ. იაპონიის მაგალითის გადმოღება ამ შემთხვევაში უსათუოდ სოციალურად სასარგებლო მოვლენა იქნება.

მეცნიერული ლიტერატურა, ისევე, როგორც ჩვენში, ამუშავებს მთელ რიგ საკითხებს ქიმიიდან, ფიზიკიდან, ბიოლოგიიდან, აგრონომიიდან, ტეხნიკიდან, სპორტიდან და სხვა. და იძლევა საქმიან მასალას პრაქტიკული ვარჯიშობისათვის.

იაპონიის საბავშვო პრესა დიდი ყურადღების ღირსია, მიუხედავად მისი გარეგნული ერთფეროვნებისა. გარდა იმისა, რომ იაპონიაში ბევრი „ბოისკაუტური“ ჟურნალი და გაზეთი გამოდის, ჩვენთვის არსებითი ინტერესი ორ გარემოებას აქვს: ამ გამოცემათა საგრძნობი ნაწილი დანაწილებულია მკითხველის ასაკის და სქესის (როგორც ამერიკასა და ევროპაშია) მიხედვით, რაც საზოგადოებრივად მავნე და რეაქციონური მოვლენაა. ხაზგასასმელია, რომ იაპონურ საბავშვო პრესაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბავშების ლიტერატურულ და სახვით შემოქმედებას.

სასწავლო წიგნი და ნოტები გარეგნობით დაღებით შთაბეჭდილებას სტოვებს და ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმედ ჩვენსას სჯობია.

წიგნის ექსპონატებს გარდა გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სურათები, მოდელები, სათამაშოები და ბავშების მხატვრული ნამუშევრები.

დაახლოვებით ასეთი შინაარსის იქნება იაპონიის საბავშვო წიგნის გამოფენა, რასაც ორგანიზაციულად უნდა შევხვდეთ.



მაქსიმ გორკი ვოლგაზე მოგზაურობის დროს ესაუბრება მუშებს

# სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ბორჯომში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავლის და კოლექტივიზაციის დღე, 14 ოქტომბერი, ბორჯომის რაიონში დიდის ზეიმით ჩატარდა. ამ დღის ჩასატარებლად ბორჯომიდან რაიონში გაემგზავრენ მუშათა ბრიგადები და მოწაფეთა კოლონები. ამავე დღეს მოხდა სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა საზეიმო გახსნა. გახსნას დაესწრო 3000-დე კაცი. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მრავალი ექსპონატი სასოფლო მეურნეობიდან.

გამოფენაზე ყურადღებას იპყრობს ციხის-ჯვრის ფერმის ორწლინახევრიანი ბულა, რომელიც 40 ფუთს იწონის. ყურადღების ღირსია აგრეთვე, სოფ. ახალდაბის ულარიბესი გლეხის პაპიძის ბოსტნეული, განსაკუთრებით ჭარხალი, რომელიც საუკეთესო ღირსებისა და არაჩვეულებრივი სიდიდისაა.

თვალში გეცემათ სოფ. ციხის-ჯვრის და ბაკურიანის მერძევეთა არტელის, ბორჯომის ბალბოსტნების და შრომის სკოლის მიერ გამოფენილი ექსპონატები.

გამოფენაზე მონაწილეობდენ, აგრეთვე, სანიმუშო კერძო მეურნეობანი თავისი ნაწარმოებებით.

საუკეთესო სასოფლო-მეურნეობის დასაჯილდოებლად გამოყოფილი იყო ექსპერტთა კომისია, რომელმაც პირველი ჯილდო მიაკუთვნა (ოქროს ჟეტონი წარწერით) ციხისჯვარის ფერმის ბულას. მასვე მიეცა სახელწოდება „მოსკოლ“ (მოსავლიანობა და კოლექტივიზაცია) მეორე ჯილდო (ფულადი), 150 მანეთის რაოდენობით, ერგო ციხისჯვრის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლას, რომელმაც ეს თანხა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეძენას უნდა მოახმაროს. მესამე ჯილდო 70 მანეთის რაოდენობით მიეკუთვნა ციხის-ჯვრის მერძევეთა არტელს. მეოთხე ჯილდო გაიყვეს ბაკურიანის მერძევეთა არტელმა და სოფ. ახალდაბის გლეხმა პაპიძემ—პირველმა 50 მან. ხოლო მეორემ 40 მან. მეხუთე ჯილდო (30 მანეთი) მიეცა ბორჯომის მუშათა უბნის. შრომის სკოლას.

ამ გამოფენას უდიდესი მნიშვნელობა ქონდა. მან გამოააშკარავა ის ღონისძიებანი, რომელსაც მიმართავენ, როგორც არტელები, აგრეთვე კერძო მეურნეობანი, მოსავლის გასაუმჯობესებლად და გასადიდებლად. გლეხობაში დიდი ლტოლვაა კოლექტივიზაციისადმი, ეს ნათლად გამოაშკარავდა მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღეს. ჩვენი ვალია დავეხმაროთ მას.



გამოფენის საზეიმო გახსნა



სოფელი ციხის-ჯვარის მერძევეთა ფერმის ბულა



სოფ. რველის მცხ. გ. თაქთაქიშვილის მეურნეობის ექსპონატები



სოფ. ახალ დაბის მცხ. ულარიბეს გლეხის პაპიძის ექსპონატები

# ამეტყველებული ეკრანი

ხანგრძლივი სალაბორატორიო კვლევა-ძიების შემდეგ ჩვენ შევქმენით ჩვენი საკუთარი საბჭოთა „მეტყველი კინო“ სრულიად საკავშირო ელექტროტეხნიკურ ინსტიტუტში დამუშავებული აპარატურა „ტამეფონი“ ნებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ სულ ახლო მომავალში მთელი ჩვენი ს.ს.ს.რ. მოიფინება ისეთი კინოების ქსელით, რომელშიაც არამც თუ ვნახავთ სურათს, არამედ მოვისმენთ კიდეც.





გადამღები კინო-ფოტოაპარატი კინოსურათის გადაღებასთან ერთად ბგერათა ფოტოგრაფიასაც აწარმოებს. ამ აპარატში სინქროულად ე. ი. ერთნაირის სისწრაფით ორი ლენტი მოძრაობს. ერთ ლენტზე ჩვეულებრივი წესით კინოსურათის გადაღება სწარმოებს—მეორეზე კი ბგერათა ფოტოგრაფია.

ბგერათა ფოტოგრაფია შემდეგნაირად სწარმოებს. ჩასაწერად საჭირო ბგერებს მიკროფონის საშუალებით იჭერენ და გამაძლიერებელით აძლიერებენ სწორედ ისევე, როგორც ამას რადიოში ახერხებენ. გაძლიერებული ტონი გადამღებ აპარატში შედის და ეგრედ წოდებულ სინათლის მოდულიატორში ხვდება. ბგერითი რყევანი ჯერ ელექტრულ და შემდეგ სინათლის რყევებად გარდიქმნებიან. ეს სინათლის რყევანი სინათლისადმი მგრძნობიარე ლენტზედ აღიბეჭდებიან და ამგვარად მიიღებენ ბგერის ფოტოგრაფიას. ეს ფოტოგრაფია წარმოადგენს ზოლს, რომელიც სხვა და სხვა სისქისა და ინტენსივობის პარალელურ მოკლე ხაზებისაგან შესდგება. აღბეჭდილ ბგერების ხასიათის მიხედვით გადაღებული ბგერების ლენტებს (ფონოგრამები) კინო-ლაბორატორიაში ჩვეულებრივის წესით ამუშავებენ. კადრების და ფონოგრამების ნეგატივების საბოლოო მონტაჟის შემდეგ ამათგან ამზადებენ კინოების საჭირო რაოდენობას, რომლებშიაც ბგერა და კადრი უკვე ერთს ლენტზეა მოთავსებული. კინო ფონო-ლენტის პოზიტივი ზომით სრულიად არ განირჩევა ჩვეულებრივისაგან. ბგერა კადრის გვერდით არის ჩაწერილი და მხოლოდ მცირედ აპატარავებს კადრს. მეტყველ კადრების პროექციის დროს სინათლე ბგერად გარდაიქმნება დამატებითი ხელსაწყოს ფოტოელემენტის დახმარებით, რომელიც ბგერის ფოტოგრაფიას ელექტრულ რყევებად გარდაქმნის. ელექტრო-რყევანი ეკრანთან დადგმულ რეპროდუქტორით გადმოიცემიან. ის გარემოება, რომ ბგერის ფოტოგრაფია და კადრი ერთსა და იმავე ლენტზეა მოთავსებული უზრუნველჰყოფს სურათისა და ბგერის სრულ თანხდენილობას გადაღების დროს. თავის თავად ცხადია ატელიეში არავითარ გარეშე ხმაურობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ამიტომაც საამისო ატელიეში სრული სიჩუმე უნდა სუფევდეს. ჩვეულებრივი გადაღების დროს იუპიტერები ხმაურობს და ამიტომაც მათ მაგივრად ნახევარ ვატიან ნათურებს ხმარობენ. ნათურების სინათლის ძალა ათას და ათი ათას სანთელს უდრის. გადაღების დროს რეჟისორი მსახიობებს სათანადო შენიშვნებს აძლევს სხვა და სხვა ფერის სასიგნალო ნათურებით და გაშუქებულის წარწერებით.

ამჟამად უკვე შესრულებულია პირველი საცდელი გადაღებანი მეტყველი კინოს საბჭოთა აპარატურის შემწეობით და მალე მოვისმენთ როგორ დაილაპარაკებს კინო-ეკრანი.



---

## განიარაღების კონფერენციაზე

ფიცი მწამს



ბოლო მა_ვირვებს

---

# ი უ მ ო რ ი

### მონადირეთა კავშირის ტირში

— შეხედე, სანდრო ინაშვილი რა კარგა ისვრის ტირზე?

— მერე რა არის აქ გასაკვირველი? ერთი ასჯერ მაინც ეყოლება ლენსკი მოკლული ევგენი ონეგინში... ვერ ისწავლიდა თუ!

### სიყვარული და სიძულვილი

— ასე, ჩემო შვილებო, იესო ქრისტემ ბრძანა, „გ ყვარ ეთ ყველანიო!“.

— მ.შ, მამილო, რატომ გეჯავრება საბჭოთა ხელისუფლება?

### თავის თავი თვითონ გასცა

— იცი, ჩვენი ბუღალტერი ეკლესიაში დაიარება.

— მერე შენ საიდან იცი?

— მე იმას ყოველ კვირაში ვხვდები იქ.

### რ ჩ ე ვ ა

— კაცო, დაწოლილი ნუ კითხულობ, მავნებელია!

— ეჰ, აგერ იმ დღეს ფეხზე მდგომმა წავიკითხე ჩვენი კედლის გაზეთი და სულ ნერვები ამეშალა.

### გ ა მ ო ც დ ი ლ ი

— საიდან იცის ამ ჩვენმა დაწინაურებულმა გამგემ ასე კარგად ჩვენი დაწესებულების საქმე.

— ორი წელიწადი დადიოდა რაღაც ცნობის მისაღებად და ისწავლა.



ადგილი ამხ. ლენინის ახალი მავზოლეის ასაშენებლად.



„წითელ პუტილოვის“ სატრაქტორო ცეხი, სადაც დამზადდა წლის განმავლობაში 3.050 ტრაქტორი და გაეგზავნა სოფლის კოლმეურნეობებს

# თბილისი შენდება



ქალადევში რკინის-გზელ მუშათა 4 სართუ-
ლიანი სახლი, 57 ოთახით და ქვეშ ზაკტეპოს
უნივერსალური მაღაზიით.





აბრეშუმის საქსოვი ქარხნის ნახევრად დამთავრებული შენობა (ვერაზე, თბილისში,





მუშკოოპის დახურული ბაზარი, ავლაბარში კახეთის მოედანზე

მუშკოოპის მექანიკური ფურნე, (ორჯონიკიძის ქ.) დამთავრების რიგში. დღე-ღამეში გამოცხვება 3,000ფ.



გურია—სადაც სწარმოებს ნავთის ძიება.

საქ. კინო ფაბრიკის ახლად დამთავრებული შენობა, ვერე ხანის ქუჩაზე



ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის ბაღი, საიდანაც ჰკვებავენ მოშენებულ ცხოველებს.

# გულშემზარავი წიგნი

## იუჯინ ლაიონს.--„საკოსა და ვანცეტის ცხოვრება და სიკვდილი“



ბართოლომეო ვანცეტტი

შეერთებული შტატები ითვლება არა მარტო მაღალი ტეხნიკისა და მრეწველობის ქვეყნად, არამედ აგრეთვე „თავისუფლებისა“ და დემოკრატიის“ ქვეყნადაც, „სამოთხედ“, რომელსაც ალტაცებაში მოჰყავს მენშევიკი და სხვა ჯურის „დემოკრატები“.

იუჯინ ლაიონსი, შეერთებული შტატების ერთ-ერთი გამოჩენილი ჟურნალისტი, თავის შესანიშნავ წიგნში „საკოსა და ვანცეტის ცხოვრება და სიკვდილი“ („ზემლია ი ფაბრიკა“-ს გამოცემა, 1929 წ.) ქვას-ქვაზე არ ტოვებს ამ ლეგენდიდან „ამერიკული თავისუფლების“ შესახებ, რომელსაც ასე თავგამოდებით ავრცელებენ მეორე ინტერნაციონალის მესვეურები.

ამერიკის ბურჟუაზიას ჯერ არ განუცდია ისეთი კლასობრივი ქარტეხილები, რომლებმაც გადაუარა ევროპას. მაგრამ ის გრძნობს ამ კლასობრივ შერყევათა აუცილებლობას და ყოველივე საშუალებით სცდილობს თავიდან აიცილოს იგი. არც ერთი ქვეყნის ბურჟუაზიას ისე მოხერხებულათ არ გამოუყენებია თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად სახელმწიფო აპარატი, სასამართლო, სარწმუნოება, შეიარაღებული ძალები, როგორც ამერიკის ბურჟუაზიას. ამერიკაში იდევნება ყოველივე, რასაც ოდნავ მაინც შეუძლია ზიანი მიაყენოს შეხედულებებს, რომლებიც ბურჟუაზიის ბატონობის ქვაკუთხედს წარმოადგენს. მეფის რუსეთშიც კი არ იდევნებოდა დარვინიზმი, ამერიკაში კი მას სდევნიან ისე, როგორც საშუალო საუკუნოების ერეტიკოსებს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ბედი მოელის ყოველ ჭეშმარიტ რევოლიუციონერს! საკმაოა ვინმემ დაიმსახუროს „წითელის“ სახელი, რომ თავის თავს თავისივე ხელით გამოუტანოს სასიკვდილო განაჩენი: თუ პოლიციას გადაურჩა, სადმე კუკ-კლუკს-კლანის (ფაშისტური ორგანიზაციის) წევრები ჩამოჰკიდებენ ხეზე ამერიკის ბურჟუაზია თავის კლასობრივ მტრებს უსწორდება საშინელის სიმკაცრით. მისმა შურისძიებამ არ იცის საზღვარი.

აი ამ კლასობრივი შურისძიების მსხვერპლი შეიქნა ორი იტალიელი ემიგრანტი მუშა ბ ა რ ტ ო ლ ო მ ე ო ვ ა ნ ც ე ტ ი და ნ ი კ ო ლ ა ს ა კ კ ო. მათი ცხოვრებისა და 7 წლის განმავლობაში ელექტრონის სკამზე სიკვდილის საშინელი მოლოდინის შესახებ მოგვითხრობს იუჯინ ლაიონის მიერ ყურადღებით შეკრებილ მასალები.

***

ეს იყო იმ პერიოდში, როცა რუსეთის მუშებსა და გლეხებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდათ თეთრგვარდიელებთან და მათ დასახმარებლად მოსულ ინგლისელებთან, ფრანგებთან, ამერიკელებთან, იაპონელებთან, ბერძნებთან და სხვ., როცა „წითელი საფრთხე“ ჩამოაწვა მთელ ქვეყნიერებას და ამერიკელ სენატორებისაგან შემდგარი სასამართლო „ასამართლებდა“ ოქტომბრის რევოლიუციას ისეთი „საბუთების“ მიხედვით, როგორც მაგალითად „ქალების ნაციონალიზაცია“, „ბავშვების თითებიდან გაკეთებული სუპი“ და სხვ. ამერიკის შავრაზმულმა პრესამ მოშხამა ატმოსფერა ამგვარი ჭორებით საბჭოთა კავშირზე და ყველა კუთხეში გაისმოდა ბრბოს ყიჟინა „დაჰკა წითლებს!“. პოლიციამ და სამოსამართლო ორგანოებმა მოახდინეს ყველა ბნელი ძალების და შპიკების მობილიზაცია წითლებზე სანადიროდ, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ყველა საეჭვოს, განსაკუთრებით ემიგრანტებს, ვისაც საბჭოთა რუსეთისადმი თანაგრძნობა დასწამებდენ, აპატიმრებდნენ და აძევებდნენ ამერიკიდან უგროშკაპეიკოდ, ხშირად ატოვებინებდნენ ცოლშვილს, უმწეო ნათესავებს. დაპატიმრება და გაძევება ყველაზე რბილი ზომა იყო იმ რისხვიდან, რომელიც ამერიკის ბურჟუაზიამ თავის კლასობრივ მტრებს დაატეხა თავს. წითლებს ქლეტდნენ ყოველ გზა-ჯვარედინზე, არბევდნენ მათ ბინებს, ერთი სიტყვით ეპყრობოდნენ ისე, როგორც ბანდიტს არ მოეპყრობიან.

***

ასეთი ატმოსფერა იყო გამეფებული, როცა საკო და ვანცეტი ხელში ჩაუვარდა ამერიკის პოლიციას. ოფიციალურად მათ აბრალებდნენ



ამერიკის „თავისუფლების“ ძეგლის ნამდვილი სახე

მოლარე ბერარდელის მოკვლას და გაძარცვას, მაგრამ მოსამართლე ტეიერისა და მთელი ბურჟუაზიული პრესის პოზიცია უდავოდ ამტკიცებდა, რომ აქ ადგილი აქვს ბურჟუაზიის შურისძიებას, რომ საკოსა და ვანცეტის უსწორდებიან როგორც კლასობრივ მტრებს. მოსამართლე უებსტერ ტეიერი არ მალავდა ამას.

„ბ რ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ს  ი დ ე ა ლ ე ბ ი  და  დ ა ნ ა შ ა უ ლ ი  ე რ თ ი  და  ი გ ი ვ ე ა“-ო განაცხადა მან სასამართლოში, ე. ი. სულ ერთია რისთვისაც არ უნდა იყოს მიცემული პასუხისგებაში ბურჟუაზიის ორი ტყვე. რომც მათ მოლარის მოკვლა და გაძარცვა არ დაუმტკიცდეს, ისინი მაინც ბანდიტები არიან, როგორც წითლებიო,—აი რას ნიშნავდა ტეიერის განცხადება და მთელი ბურჟუაზია იზიარებდა ამ აზრს. იგი მოითხოვდა წითლების სისხლს, ამით სურდა დაეშინებია მუშათა მოძრაობა, და სულ ერთია რა საბაბით დასწვავდა ელექტრონის სკამზე ორ მუშას, რომელთა მთელი დანაშაული იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ თავიანთ კლასობრივ იდეალებისათვის.



ნიკოლა საკკო

***

მაგრამ საკოსა და ვანცეტის მოსათავსებლად ელექტრონის სკამზე საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ ნამდვილათ მათ მოჰკლეს და გაძარცვეს მოლარე. ამას ეწინააღმდეგებოდა ყველაფერი; ბრალდებულთა მსოფლმხედველობა, მათი ალიბი და მრავალი სხვ. მაგრამ ელექტრონის სკამის გმირებმა ხელთ ჩაიგდეს ორი მსხვერპლი და გადასწყვიტეს არამც და არამც არ გაეშვათ ისინი ხელიდან. გათამაშებული იქნა გასამართლების კომედია, რომლის მსგავსი თავისი ცინიზმით და ფარისევლური ხასიათით, საეჭვოა რომ ახსოვდეს ისტორიას. 7 წელიწადს გაგრძელდა გასამართლების ეს კომედია, 7 წლის განმავლობაში ბურჟუაზიის ორი ტყვე ყოველ ღამე ელოდა, რომ მათ დასვამდნენ ელექტრონის სკამზე და მრავალათას ვოლტიანი ელექტროდენი თვალის დახამხამებაში დაფერფლავდა მათ სხეულს.

მთელი რიგ მოწმეთა ჩვენებით უდაოთ დადასტურდა, რომ მოლარის მოკვლის დილას ვანცეტი თევზებს ჰყიდდა თავის თანამემამულე ემიგრანტთა შორის, საკკო კი იჯდა კაფეში. მაგრამ სასამართლომ ამ უტყუარი ფაქტებით ხელმძღვანელობას ამჯობინა მიემართა „გამოცნობის“ საეჭვო ხერხისათვის. მკვლელობის და გაძარცვის საეჭვო მოწმეების ჩვენების მიხედვით სასამართლო შეუდგა იმის ძტკიცებას, რომ მძარცველები უსათუოდ უნდა ყოფილიყვნენ საკო და ვანცეტი, რადგან ერთ ბოროტმომქმედს ვითომ ისეთივე ქუდი ჰქონდა, როგორც ვანცეტის, ან ისე დადიოდა, „როგორც დადიან იტალიელები“, ან იმიტომ, რომ საკოს აღმოაჩნდა ისეთივე რევოლვერი, როგორიც მოკლულ მოლარეს ჰქონდა და სხვ.

ამ „საბუთების“ მიხედვით საკოსა და ვანცეტის გადაუწყვიტეს სიკვდილი ელექტრონის სკამზე ეს იყო 1921 წლის მაისში.

***

— Sono innocente*) —დაიძახა საკკომ თავის რკინის გალიიდან ქ. დედხემის სასამართლოში, როცა ტეიერმა გამოაქვეყნა განაჩენი.

— უდანაშაულოებს ჰკლავენ,— დამშვიდებით წარმოსთქვა ვანცეტიმ.

ამ მომენტამდე საკოსა და ვანცეტის საქმე საზოგადოებრივი ყურადღების გარეშე მიმდინარეობდა. მაგრამ ამ ბარბაროსულმა განაჩემა ერთბაშად აალაპარაკა ქვეყნიერება. უცნაურად მოგვეჩვენება, ერთის შეხედვით, მაგრამ მძლავრი გამოხმაურება პროცესმა პირველად ჰპოვა ევროპაში. ეს, რასაკვირველია, იმას უნდა მიეწეროს, რომ ევროპის მუშათა კლასი უფრო შეკავშირებულია და მასში უფრო ძლიერია კლასობრივი სოლიდარობის გრძნობა.

თითქმის ყველა ქვეყნებში შეერთ. შტატე-

*) უდანაშაულო ვარ.

ბის საელჩოების უბანი მშრომელთა მასიური საპროტესტო დემონსტაციების ასპარეზად გადაიქცა. მშრომელთა აღშფოთებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ბევრგან ამერიკის საელჩოებში ბომბები შეაგდეს. ამ ბომბების აფეთქებამ გამოაღვიძა ამერიკის საზოგადოების პროგრესიული ნაწილი და დაიწყო მძლავრი მოძრაობა საკოსა და ვანცეტის გადასარჩენად.

მაგრამ ამავე დროს ირაზმებოდა მეორე ბანაკიც, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა არ გაეშვა ორი მსხვერპლი. ამ ბანაკმა საკოსა და ვანცეტის მიმართ გამოტანილი განაჩენის სისრულეში მოყვანა სახელმწიფოებრივი ღირსების საქმედ გამოაცხადა და გამოიყენა მთელი თავისი გავლენა, მთელი სახელმწიფოებრივი მექანიზმი, რომ ფეხქვეშ გაეთელა საკოსა და ვანცეტის უდანაშაულობის დამამტკიცებელი ყველა საბუთები და საზოგადოებრივი აზრის ერთსულოვანი პროტესტი.

***

დამცველებმა განაჩენი გაასაჩივრეს უზენაეს სასამართლოში, რომელმაც საქმე გაარჩია მხოლოდ 4 წლის შემდეგ—1925 წ. 12 მაისს და დაამტკიცა ტეიერის მიერ გამოტანილი განაჩენი.

უზენაესი სასამართლო ხელმძღვანელობდა იმავე მოსაზრებით, როგორც მოსამართლე ტეიერი: „ბრალდებულთა იდეალები და დანაშაული იგივეა".

მოულოდნელად საკოსა და ვანცეტის საქმეში თითქო გარდატეხა მოხდა. ერთ დღეს გაზეთებმა ამცნეს ქვეყნიერებას, რომ ნაპოვნია მოლარეს ნამდვილი მკვლელი—ჩელესტინო მადეროს, წევრი მორელის ბანდის, რომელიც შიშის ზარს სცემდა ქ. პროვიდენსის მოსახლეობას. ჯერ კიდევ სანამ საკოსა და ვანცეტის სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდნენ, სხვა საქმეზე დაპატიმრებული მადეროსი ტრაბახობდა ციხეში, რომ მან „იცის ზოგი რამ მოლარის მოკვლის შესახებ". მადეროსს სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი რენტამის ბანკის გაძარცვისა და მოლარის მოკვლისათვის და განაჩენის სისრულეში მოყვანამდე ის მოათავსეს დედხემის ციხეში, სადაც იმყოფებოდა საკკო. აქ, მადეროსი გამოტყდა, რომ ბოროტმოქმედება, რომელსაც საკოსა და ვანცეტის აბრალებენ, ნამდვილად ჩაიდინა მორელის ბანდამ.

საკოსა და ვანცეტის მეგობრებს იმედი მიეცა. მაგრამ ტეიერმა ჩქარა დაუმტკიცა მათ, რომ მათი იმედები ამაო იყო. მან უყურ დღებოდ დასტოვა მადეროსის ჩვენება და დაადასტურა თავისი განაჩენი.

***

1927 წლის 12 აპრილს საკკო და ვანცეტი მიიყვანეს დედხემის სასამართლოში განაჩენის მოსასმენად და აი იქ, დედხემის სასამართლოში, დატრიალდა თავისი სიდიადით ამაღელვებელი ამბავი. ტეიერი, ბანკირების და კაპიტალისტების ერთგული მსახური, ბრალმდებლიდან და მოსამართლიდან გადაიქცა ბრალდებულად. ორმა გმირმა მუშამ, სამარის კარზე მდგარმა, სახეში ესროლა მას ბრალდებათა მთელი მთა, ამოააშკარავა მთელი მისი მახინაციები. ამავე დროს ეს იყო ბრალდება ექსპლოტატორთა მთელი კლასის მიმართ, რომელიც კლასობრივი შურისძიების გრძნობით დაბრმავებული, თავის კანონებსაც კი ფეხქვეშ თელავდა, რომ კლასობრივ მტრებს გასწორებოდა.

ტეიერი ცახცახებდა, როცა უნებურად ისმენდა საკოსა და ვანცეტის პროლეტარული გამბედაობით სავსე სიტყვებს და გამშრალი ბუტბუტებდა:

— მსაჯულებმა გადასწყვიტეს ეს და არა მე, მსაჯულებმა და არა მე, კანონმა და სასამართლომ და არა მე.

„—მე ვიცი, რომ აქ სწყდებოდა დავა ორ კლასს შორის, დაჩაგრულთა და მქონებელთა შორის და რომ ერთსა და მეორეს შორის მუდამ იქნება ბრძოლა. აი ამიტომ ვზივარ მე დღეს აქ, ამ სკამზე,—იმიტომ, რომ მე ვეკუთვნი დაჩაგრულთა კლასს. დიაღ, თქვენ ხართ მჩაგვრელნი",—აღშფოთებით წამოიძახა ნიკოლა საკკომ.

— მე არ ვუსურვებდი არც ძაღლს, არც გველს, არც უკანასკნელს და უუბედურეს არსებას დედამიწაზე განეცადა ის, რაც მე განვიცადე მოქმედებისთვის, რომელშიც უდანაშაულო ვარ. მე ვიტანჯები იმისთვის, რომ რადიკალი ვარ, და მართლაც, მე ვარ რადიკალი; მე ვიტანჯები იმისთვის, რომ ვარ იტალიელი, და მართლაც, მე იტალიელი ვარ. ყველაზე მეტად მე ვიტანჯებოდი ჩემი ოჯახისთვის, იმათთვის, ვინც ჩემთვის ძვირფასია, ვიდრე ჩემი თავისთვის. მაგრამ მე ისე ვარ დარწმუნებული ჩემს უდანაშაულობაში, რომ თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ ერთხელ მომკლათ, მაგრამ, რომ თქვენ შეგეძლოთ ორჯერ მომკლათ მე, მე კი შემეძლოს ორჯერ ვიშვა ქვეყნიერებაზე, მე კვლავ ვიცხოვრებდი იმისთვის, რასაც ამდენხანს ვაკეთებდი,"—ასე დაათავა თავისი სიტყვა ბარტოლომეო ვანცეტიმ.

ტეიერმა ილაპარაკა ბოლოს. მან წაიკითხა განაჩენი. სხვა რა უნდა ეპასუხნა მას ბრალდებულთა აღშფოთების აღსავსე მხილებაზე.

„და დადგენილ იქნა, რომ თქვენ, ნიკოლა საკკო.... და თქვენ, ბარტოლომეო ვანცეტი დასჯილ იქნეთ სიკვდილით, თქვენს სხეულში ელექტროდენის გატარებით, არა უგვიანეს ერთი კვირისა, დაწყებული კვირიდან, ივლისის 10 დღესა. წელიწადი ღვთისა ჩვენისა ათას-ცხრაას ოცდა-შვიდი. ასე ამბობს კანონი!".

***

საკოსა და ვანცეტის მეგობრებს უკანასკნელი იმედი დარჩათ, ისინი ფიქრობდნენ, რომ მასაჩუზეტსის შტატის გუბერნატორი ფ უ ლ ლ ე რ ი არ დაამტკიცებდა განაჩენს. ფულლერმა თვით მოჰკიდა ხელი საქმის „გამოძიებას". მათ წარადგინეს აუარებელი დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებდნენ ტეიერის მტრულ განწყობილებას ბრალდებულთადმი. 3 აგვისტოს ფულლერმა გამოიტანა თავისი დასკვნა—სავსებით დაადასტურა ტეიერის მიერ გამოტანილი განაჩენი

ორი პატიმრის სიკვდილით დასჯამდე დარჩა 7 დღე. „7 დღე, რომელმაც შესძრა ქვეყნიერება", როგორც ამბობს იუჯინ ლაიონსი.

მთელს ქვეყნიერებაზე გადაიარა პროტესტების გრიგალმა. შ. ერ. თ. შტატებს გარეთ რეაქციონური გაზეთებიც კი ლმობიერებას მოითხოვდნენ საკოსა და ვანცეტის მიმართ. მაგრამ ამერიკელმა რეაქციონერებმა მტკიცედ გადასწყვიტეს არ დაეხიათ უკან.

„ნაციონალური დამცირება და უსირცხვილო, მხდალური კომპრომისი იქნებოდა ნაციონალური თავმოყვარეობისათვის, თუგინდ ოდნავი ყურადღების მიქცევა უცხოეთის პროტესტებზე ან ბრბოს პროტესტებზე ჩვენში",—ასე სწერდა სენატორი ბორა პროტესტების გამო, რომელიც ფულლერის „დასკვნამ"—გამოიწვია.

განაჩენის სისრულეში მოყვანა დანიშნული იყო 10 აგვისტოსთვის. მაგრამ 36 წუთით ადრე განაჩენის მოყვანამდე ფულლერმა 23 აგვისტომდე გადასდო დასჯა.

პროტესტების ტალღა გრძელდებოდა. მაგრამ არაფერმა გასჭრა. განაჩენის სისრულეში მოყვანის დღე ულმობელად ახლოვდებოდა. საკკო და ვანცეტი მხნედ ეგებებოდნენ სიკვდილის საათს. ისინი მადლობის გრძნობით იყვნენ გამსჭვალული მილიონ მეგობრების მიმართ, რომლებმაც ყოველივე საშუალება იხმარეს, რომ სიკვდილის ბრჭყალებიდან გამოეგლიჯათ ისინი.

„მეგობრებო და ამხანაგებო,—სწერდნენ საკო და ვანცეტი მათ დამცველ კომიტეტს,—ახლა, როცა გასამართლების კომედია დასასრულს უახლოვდება, იყავით ერთსულოვანი. მოვკვდებით მხოლოდ ჩვენ ორნი. ჩვენი იდეალები და თქვენ, ამხანაგებო, იცოცხლებთ. ჩვენ გავიმარჯვეთ; ჩვენ არა ვართ დამარცხებული. შეინახეთ და გამოიყენეთ ჩვენი ტანჯვა, ჩვენი მწუხარება, ჩვენი შეცდომები, დამარცხებანი და ჩვენი წამება მომავალი ბრძოლებისა და მშრომელთა დიადი განთავისუფლებისათვის".

***

საკოსა და ვანცეტის მოკვლის დღეს ბოსტონი ალყაშემორტყმულ ქალაქს ემსგავსებოდა. ქუჩები ჯარსა და პოლიციას ჰქონდა დაკავებული.

საღამოს 7 საათზე საკკოს მისცეს ცოლის ნახვის ნება, ვანცეტის კი—იტალიიდან ჩამოსული დის.

ღამის სრულ 12 საათზე მსჯავრდადებულთა საკანიდან პირველად გაიყვანეს მადეროსი. რამდენიმე წუთის შემდეგ მიაკითხეს საკკოს.

ის მაგრათ მიაკრეს ელექტრონის სკამზე.

— მშვიდობით ცოლო, მშვიდობით შვილო მშვიდობით ყველა მეგობრებო, დაიძახა საკკომ. ელექტროდენმა გუგუნით გაიარა ტანში. ეს იყო 23 აგვისტოს ღამის 12 ს. და 19 წუთზე.

12 საათზე და 26 წუთზე გაათავა თავისი სიცოცხლე ბარტოლომეო ვანცეტიმ.

ბურჟუაზიამ შური იძია ორ წითელზე იმ შიშისათვის, რომელიც მას აგემა ოქტომბრის რევოლიუციამ და მუშათა მოძრაობამ. მათ მოჰკლეს ორი მებრძოლი, მაგრამ ვერ მოჰკლავენ რევოლიუციონურ სულს, რევოლიუციონურ იდეალებს, რომელიც თანდათან იკვლევს გზას ამერიკის მუშათა ბრძოლაში. მილიონი გამოღვიძებული მონები განაგრძობენ საკოსა და ვანცეტის საქმეს.

**ე. წ.**

—

P. S. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი სახელგამი იკისრებდეს იუჯინ ლაიონსის ამ შესანიშნავი წიგნის გამოცემას ქართულ ენაზე.

**ე. წ.**



ბერლინში შემოიღე მოლაპარაკე ბარათები. მოკითხვის აბავი გადააქვთ გრამაფონის ფირფიტაზე და მიმღები გრამაფონზე ადგილობრივ ისმენს წერილის შინაარს.



საკავშირო სმუს კომისია რიონჰესის გვირაბთან.

# საბჭოთა ახალი კალენდარი

ძველი კალენდარის უხერხულობა დიდიხანია ცნობილია. კაპიტალისტური ქვეყნებიდან განსაკუთრებით ამერიკაში სცდილობენ ახალი კალენდრის შედგენას, რომელიც მრეწველობის ტემპს ეგუებოდეს. მაგრამ სადღესასწაულო დღეები და ბიბლიური წელთ აღრიცხვის ტრადიციის დაცვა ფრიად აფერხებს კალენდრის რეფორმის საკითხს.

სულ სხვაა საბჭოთა ქვეყანა. აქ დიდიხანია რელიგიას აეგო ანდერძი და ცრუმორწმუნოებისაგან განიტვირთა ქვეყანა. ამიტომ კალენდრის შეცვლის საკითხი დიდ დავას არ იწვევს.

ამასთან ერთად კალენდრის შეცვლის საკითხი დღეს მით უფრო დასაჩქარებელია, რომ ხუთწლიან გეგმის მიერ ვ ზნად დასახულ მშენებლობას სჭირია უფრო მიზანშეწონილი საანგარიშო წელი.

ყველა წარმოდგენილ პროექტებიდან მოწონებულია ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემოღება. ა. წ. 2ი აგვ. საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებით ყველა საერეწველო დარგები ნელნელა უნდა განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადავიდენ, მაგრამ ისე, რომ ადამიანმა დროზე დაისვენოს კულტურულ მიზნებისა და განვითარების მისაღწევად, ხოლო მანქანამ გამუდმებით იმუშაოს. ამის მისაღწევად კი მხოლოდ ხუთდღიანი სამუშაო კვირა იძლევა შესაფერ შესაძლებლობას. ახალი შრომის რეჟიმით ოთხ დღეზე იმუშავებს ადამიანი და მეხუთეზე ისვენებს.

ახალი კალენდარით მთელი წელი იყოფა თანასწორ თვეებათ, კვირეებათ და დღეებათ. თვეების რიცხვი ძველებურია—თორმეტი, თვითეულ თვეში 30 დღე, თვეში ოთხი კვირის ნაცვლად იქნება ექვსი, მაშასადამე, წლიურად გვექნება 72 კვირა.

კალენდარში არ შედის 5 სადღესასწაულო დღე, ესენი რჩებიან ურიცხვოდ, როგორც ნაკიანი წლის ზედმეტი ერთი დღე.

ამ კალენდარის პროექტის უპირატესობა [illegible] ისაა, რომ ყველა თვეებში თვითეული კვირის დღეები ერთსა და იმავე რიცხვებში ხვდება, რაიც აადვილებს ყოველნაირ ანგარიშწარმოებას.

საზოგადოთ ასეთი კალენდარის სარფიანობა ფრიად თვალსაჩინოა: იგი თანასწორად იყოფა ორად, სამად, ოთხად და სხვა. ასევე ადვილია თვით თვეების დაყოფა ორად, სამად, ოთხად და სხვა.

თავისთავად ცხადია, ეს კალენდარი მარადიული იქნება, მაშასადამე, მისი ყოველწლიურად დაბეჭდვა საჭირო აღარ იქნება.

ახალი კალენდრით წელთაღრიცხვა იწყება 1917 წლიდან.

არის წინადადება, შეიცვალოს თვეებისა და დღეთა სახელები: პირველი დღე—ვარსკვლავი, მეორე—ნამგალი, მესამე—ჩაქუჩი, მეოთხე—ძნა, მეხუთე—დროშა, ესე იგი ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი.

ახალი კალენდრისთვის შაბათი და კვირა მოსპობილია.

## ხუთდღიანი კვირა განუწყვეტელი წარმოების დროს

(საკ. ს. მ. უ. საბჭოს კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი)

| დღეებ. სახელწოდება | იანვარი | თებერვალი | მარტი |
|---|---|---|---|
| ორშაბათი | 1 6 11 16 21 26 | 1 6 11 16 21 26 | 1 6 11 16 21 26 |
| სამშაბათი | 2 7 12 17 22 27 | 2 7 12 17 22 27 | 2 7 12 17 22 27 |
| ოთხშაბათი | 3 8 13 18 23 28 | 3 8 13 18 23 28 | 3 8 13 18 23 28 |
| ხუთშაბათი | 4 9 14 19 24 29 | 4 9 14 9 24 29 | 4 9 14 19 24 29 |
| პარასკევი | 5 10 15 20 25 30 | 5 10 15 20 25 30 | 5 10 15 20 25 30 |
| | **აპრილი** | **მაისი** | **ივნისი** |
| ორშაბათი | 1 6 11 16 21 26 | 1 6 11 16 21 26 | 1 6 11 16 21 26 |
| სამშაბათი | 2 7 12 17 22 27 | 2 7 12 17 22 27 | 2 7 12 17 22 27 |
| ოთხშაბათი | 3 8 13 18 23 28 | 3 8 13 18 23 28 | 3 8 13 18 23 28 |
| ხუთშაბათი | 4 9 14 19 24 29 | 4 9 14 19 24 29 | 4 9 14 19 24 29 |
| პარასკევი | 5 10 15 20 25 30 | 5 10 15 20 25 30 | 5 10 15 20 25 30 |
| | **ივლისი** | **აგვისტო** | **სექტემბერი** |
| ორშაბათი | 1 6 11 16 21 26 | 1 6 11 16 21 26 | 1 6 11 16 21 26 |
| სამშაბათი | 2 7 12 17 22 27 | 2 7 12 17 22 27 | 2 7 12 17 22 27 |
| ოთხშაბათი | 3 8 13 18 23 28 | 3 8 13 18 23 28 | 3 8 13 18 23 28 |
| ხუთშაბათი | 4 9 14 19 24 29 | 4 9 14 19 24 29 | 4 9 14 19 24 29 |
| პარასკევი | 5 10 15 20 25 30 | 5 10 15 20 25 30 | 5 10 15 20 25 30 |
| | **ოქტომბერი** | **ნოემბერი** | **დეკემბერი** |
| ორშაბათი | 1 6 11 16 21 26 | 1 6 11 16 21 26 | 1 6 11 16 21 26 |
| სამშაბათი | 2 7 12 17 22 27 | 2 7 12 17 22 27 | 2 7 12 17 22 27 |
| ოთხშაბათი | 3 8 13 18 23 28 | 3 8 13 18 23 28 | 3 8 13 18 23 28 |
| ხუთშაბათი | 4 9 14 19 24 29 | 4 9 14 19 24 29 | 4 9 14 19 24 29 |
| პარასკევი | 5 10 15 20 25 30 | 5 10 15 20 25 30 | 5 10 15 20 25 30 |

# იაპონიის საბავშო წიგნის გამოფენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ლუარსამიძე

„ხალხი, რომელსაც თავისი ბავშები არ უყვარს, უნდა დაიღუპოს"—ასე ფიქრობს იაპონელი. რასაკვირველია, არც საბჭოთა კავშირის მშრომელი მასა ჩამორჩება იაპონელებს ბავშის საზოგადოებრივ აღზრდაში, პირიქით, ჩვენ გაუსწარით ყველა სახელმწიფოს, განსაკუთრებით სკოლის ასაკამდე ბავშების შ რ ო მ ი ს ა ს აღზრდაში. თუ სათანადოდ გაეცნობით საბჭოთა ბავშების ცხოვრებას და საქმიანობას, ჩვენი სოციალური აღზრდის დაწესებულებებს და საბჭოთა საბავშო ლიტერატურას, ზემოთქმულში თვალსაჩინოდ დარწმუნდებით; საბჭოთა საბავშო ლიტერატურამ დიდი ყურადღება დაიმსახურა გრაფიკულ გამოფენებზე გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში და დანიაში. კერძოდ, საქართველოს სახელგამის მიერ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გამოცემულ პიონერულ—საბავშო ლიტერატურას იდეოლოგიურ - ლიტერატურულად და ტექნიკურად უკვე მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს, რაც არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული საბავშო წიგნის სპეციალისტების და სადირექტივო ორგანოების მიერ.

თუ კაპიტალისტური დასავლეთი დიდის ინტერესით ეცნობა საბჭოთა საბავშო ლიტერატურას და პოლიგრაფიულ ტექნიკას, ჩვენც მოვალენი ვართ საფუძვლიანად გავეცნოთ საზღვარგარეთის საბავშო წიგნსა და პრესას, კრიტიკულად შევაფასოთ ის და რაც ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ა დ ღ ი რ ე ბ უ ლ ი ა მასში, გამოვიყენოთ ჩვენი საბავშო ლიტერატურის მშენებლობის საქმეში.

გარდა იმისა, რომ ამ გამოფენას ვ ი წ რ ო პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი მნიშვნელობა აქვს, გამოფენა გარკვეულად პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მნიშვნელობის მოვლენაცაა, ვინაიდან ეს კულტურულად აახლოვებს ერთმანეთთან სხვადასხვა სახელმწიფოს.

სწორედ ამ მიზნით საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოების („ვოკს") ინიციატივით მოსკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა დიდ ცენტრებში მოეწყო იაპონური საბავშო წიგნის და ბავშთა შემოქმედების დიდი გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო 1450 წიგნი— ექსპონატი. ასეთივე გამოფენა მოეწყო თბილისში.

თბილისში მოწყობილ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნა 300-მდე ექსპონატი, რომელიც შემდეგ მთავარ ჯგუფებად იყოფა: 1. წიგნაკი—სურათი, წიგნაკი—სათამაშო და „კინო-წიგნაკი", 2. ზღაპრები, ლეგენდები და მოთხრობები, 3. ისტორიული ლიტერატურა, 4. საბავშო თეატრი და თამაშობანი, 5. მეცნიერება ბავშთათვის, 6. საბავშო ჟურნალები და გაზეთები, 7. ნოტები, 8. სასწავლო წიგნები, 9. წიგნები აღმზრდელთა და მშობლებთათვის.

პირველი ჯგუფი წარმოდგენილი იქნა სრულად და თავისი გარეგნობით მისაწვდომია იაპონური ენის არამცოდნეთათვისაც კი. სქელ ქაღალდზე ან მუყაოზე დაბეჭდილი ჭრელი წიგნაკები ნაირ სურათებს იძლევიან ბავშების და მოზრდილთა ყოფაცხოვრებიდან; აქვე შეხვდებით ცხოველთა სამეფოს და ბუნებას, მიმოსვლის საშუალებებს (ყველაზე უკეთ მიმოსვლის საშუალებებია დამუშავებული), ბოლოს იაპონურ ზღაპრებს და გმირული ხასიათის წიგნაკებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 1 ჯგუფი ბავშებს სისტემატიურად და მოხდენილად უნერგავს შ ო ვ ი ნ ი ზ მ ი ს, მ ი ლ ი ტ ა რ ი ზ მ ი ს და ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს ი დ ე ე ბ ს (წიგნაკები ჯარის, ფლოტისა და ომების შესახებ) და ზ რ დ ი ს ი ა პ ო ნ ი ი ს ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს მ ს ა ხ უ რ ე ბ ს და მ ო ნ ე ბ ს. საერთოდ, აღნიშნული ჯგუფი დეკორატიული სიმდიდრით ხასიათდება, თუმცა გარეგნულად მდარე ხარისხის წიგნი იაპონურ ლიტერატურაში ცოტა არაა. სათამაშო წიგნაკებს შორის ვხვდებით აგრეთვე ევროპაში გავრცელებულ მუყაოს შირმებს და ე. წ. „კინო წიგნაკებს".

მეორე ჯგუფი უფრო ღირებულია ლიტერატურული და გრაფიკული მასალის მხრივ. ჩვენ შევხვდებით აქ ძველ და ახალ იაპონურ ზღაპრებს, მოთხრობებს, ჩინურ და კორეულ კრებულებს. დასავლეთ ევროპის კლასიკური ლიტერატურის ნაწილს, ტოლსტოის საბავშო მოთხრობებს, კრილოვის იგავ - არაკებს და რუსულ ზღაპრებს. ყველაზე ღირებულ ილიუსტრაციებს (შავი და ფერადი) ჩვენ ამ ჯგუფში შევხვდებით. პირდაპირ გაოცებს განთქმული იაპონური გრაფიკა!

ისტორიული ლიტერატურა უმთავრესად ამუშავებს განსაკუთრებულ მასალას იაპონიის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ი ს ტ ო რ ი ი დ ა ნ (იაპონიის იმპერია, გენერალი ნ ო გ ი და სხვ.) თავისთავად ცხადია, რომ ასეთი ნაციონალისტური და იმპერიალისტური სულისკვეთებით გამსჭვალული ლიტერატურა ჩვენთვის მიუღებელია. ხსენებულ ჯგუფში ვხვდებით აგრეთვე დიდი ადამიანების ბიოგრაფიებს ბეთხოვენი, შექსპირი) და სხვ.

იაპონური საბავშო თეატრის რეპერტუარი უმნიშვნელოა და მასში გაბატონებულია ზღაპრული და გმირული სიუჟეტები; ამ ჯგუფში ვხვდებით მეთოდურ წიგნებსაც ბავშვებს შორის თეატრალური მუშაობის შესახებ. საბჭოთა კავშირი მოფენილია ნორჩ მაყურებელთა თეატრებით, მაგრამ თითქმის არ მოგვეპოვება მეთოდური ლიტერატურა ბავშებს შორის თეატრალური მუშაობის შესახებ. იაპონიის მაგალითის გადმოღება ამ შემთხვევაში უსათუოდ სოციალურად სასარგებლო მოვლენა იქნება.

მეცნიერული ლიტერატურა, ისევე, როგორც ჩვენში, ამუშავებს მთელ რიგ საკითხებს ქიმიიდან, ფიზიკიდან, ბიოლოგიიდან, აგრონომიიდან, ტეხნიკიდან, სპორტიდან და სხვა. და იძლევა საქმიან მასალას პრაქტიკული ვარჯიშობისათვის.

იაპონიის საბავშო პრესა დიდი ყურადღების ღირსია, მიუხედავად მისი გარეგნული ერთფეროვნებისა. გარდა იმისა, რომ იაპონიაში ბევრი „ბოისკაუტური" ჟურნალი და გაზეთი გამოდის, ჩვენთვის არსებითი ინტერესი ორ გარემოებას აქვს: ამ გამოცემათა საგრძნობი ნაწილი დანაწილებულია მკითხველის ა ს ა კ ი ს და ს ქ ე ს ი ს (როგორც ამერიკასა და ევროპაშია) მიხედვით, რაც საზოგადოებრივად მავნე და რეაქციონური მოვლენაა. ხაზგასასმელია, რომ იაპონურ საბავშო პრესაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბავშების ლიტერატურულ და სახვით შემოქმედებას.

სასწავლო წიგნი და ნოტები გარეგნობით დადებით შთაბეჭდილებას სტოვებს და ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმედ ჩვენსას სჯობია.

წიგნის ექსპონატებს გარდა გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სურათები, მოდელები, სათამაშოები და ბავშების მხატვრული ნამუშევრები.

დაახლოვებით ასეთი შინაარსის იქნება იაპონიის საბავშო წიგნის გამოფენა, რასაც ორგანიზაციულად უნდა შევხვდეთ.



მაქსიმ გორკი ვოლგაზე მოგზაურობის დროს ესაუბრება მუშებს

# სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ბორჯომში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავლის და კოლექტივიზაციის დღე, 14 ოქტომბერი, ბორჯომის რაიონში დიდის ზეიმით ჩატარდა. ამ დღის ჩასატარებლად ბორჯომიდან რაიონში გაემგზავრენ მუშათა ბრიგადები და მოწაფეთა კოლონები. ამავე დღეს მოხდა სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა საზეიმო გახსნა. გახსნას დაესწრო 3000-დე კაცი. გამოთვალში გეცემათ სოფ. ციხის-ჯვრის და ბაკურიანის მერძევეთა არტელის, ბორჯომის ბაღბოსტნების და შრომის სკოლის მიერ გამოფენილი ექსპონატები.

გამოფენაზე მონაწილეობდენ, აგრეთვე, სანიმუშო კერძო მეურნეობანი თავისი ნაწარმოებებით.



გამოფენის საზეიმო გახსნა



სოფელი ციხის-ჯვარის მერძევეთა ფერმის ბულა

ფენაზე წარმოდგენილი იყო მრავალი ექსპონატი სასოფლო მეურნეობიდან.

გამოფენაზე ყურადღებას იპყრობს ციხისჯვრის ფერმის ორწლინახევრიანი ბულა, რომელიც 40 ფუთს იწონის. ყურადღების ღირსია აგრეთვე, სოფ. ახალდაბის ულარიბესი გლეხის პაპიძის ბოსტნეული, განსაკუთრებით ჭარხალი, რომელიც საუკეთესო ღირსებისა და არაჩვეულებრივი სიდიდისაა.

საუკეთესო სასოფლო-მეურნეობის დასაჯილდოებლად გამოყოფილი იყო ექსპერტთა კომისია, რომელმაც პირველი ჯილდო მიაკუთვნა (ოქროს ჟეტონი წარწერით) ციხისჯვარის ფერმის ბულას. მასვე მიეცა სახელწოდება „მოსკოლ" (მოსავლიანობა და კოლექტივიზაცია) მეორე ჯილდო (ფულადი), 150 მანეთის რაოდენობით, ერგო ციხისჯვრის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლას, რომელმაც ეს თანხა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეძენას უნდა მოახმაროს. მესამე ჯილდო 70 მანეთის რაოდენობით მიეკუთვნა ციხის-ჯვრის მერძევეთა არტელს. მეოთხე ჯილდო გაიყვეს ბაკურიანის მერძევეთა არტელმა და სოფ. ახალდაბის გლეხმა პაპიძემ—პირველმა 50 მან. ხოლო მეორემ 40 მან. მეხუთე ჯილდო (30 მანეთი) მიეცა ბორჯომის მუშათა უბნის. შრომის სკოლას.

ამ გამოფენას უდიდესი მნიშვნელობა ქონდა. მან გამოააშკარავა ის ღონისძიებანი, რომელსაც მიმართავენ, როგორც არტელები, აგრეთვე კერძო მეურნეობანი, მოსავლის გასაუმჯობესებლად და გასადიდებლად. გლეხობაში დიდი ლტოლვაა კოლექტივიზაციისადმი, ეს ნათლად გამოაშკარავდა მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღეს. ჩვენი ვალია დავეხმაროთ მას.



სოფ. რველის მცხ. გ. თქთაქიშვილის მეურნეობის ექსპონატები



სოფ. ახალ დაბის მცხ. ულარიბეს გლეხის პაპიძის ექსპონატები

რედაქტორი. სარედაქციო კოლეგია. რედაქციის მისამართი—ქამოს ქ. № 68

# ამეტყველებული ეკრანი

ხანგრძლივი სალაბორატორიო კვლევა-ძიების შემდეგ ჩვენ შევქმენით ჩვენი საკუთარი საბჭოთა „მეტყველი კინო“ სრულიად საკავშირო ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში დამუშავებული აპარატურა „ტამეფონი“ ნებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ სულ ახლო მომავალში მთელი ჩვენი ს.ს.ს.რ. მოიფინება ისეთი კინოების ქსელით, რომელშიაც არამც თუ ვნახავთ სურათს, არამედ მოვისმენთ კიდეც.

გადამღები კინოფოტოაპარატი კინოსურათის გადაღებასთან ერთად ბგერათა ფოტოგრაფიასაც აწარმოებს. ამ აპარატში სინქროულად ე. ი. ერთნაირის სისწრაფით ორი ლენტი მოძრაობს. ერთ ლენტზე ჩვეულებრივი წესით კინოსურათის გადაღება სწარმოებს—მეორეზე კი ბგერათა ფოტოგრაფია.





ბგერათა ფოტოგრაფია შემდეგნაირად სწარმოებს. ჩასაწერად საჭირო ბგერებს მიკროფონის საშუალებით იჭერენ და გამაძლიერებელით აძლიერებენ სწორედ ისევე, როგორც ამას რადიოში ახერხებენ. გაძლიერებული ტონი გადამღებ აპარატში შედის და ეგრედ წოდებულ სინათლის მოდულიატორში ხვდება. ბგერითი რყევანი ჯერ ელექტრულ და შემდეგ სინათლის რყევებად გარდიქმნებიან. ეს სინათლის რყევანი სინათლისადმი მგრძნობიარე ლენტზედ აღიბეჭდებიან და ამგვარად მიიღებენ ბგერის ფოტოგრაფიას. ეს ფოტოგრაფია წარმოადგენს ზოლს, რომელიც სხვა და სხვა სისქისა და ინტენსივობის პარალელურ მოკლე ხაზებისაგან შესდგება. აღბეჭდილ ბგერების ხასიათის მიხედვით გადაღებული ბგერების ლენტებს (ფონოგრამები) კინო-ლაბორატორიაში ჩვეულებრივის წესით ამუშავებენ. კადრების და ფონოგრამების ნეგატივების საბოლოო მონტაჟის შემდეგ ამათგან ამზადებენ კინოების საჭირო რაოდენობას, რომლებშიაც ბგერა და კადრი უკვე ერთს ლენტზეა მოთავსებული. კინო ფონო-ლენტის პოზიტივი ზომით სრულიად არ განირჩევა ჩვეულებრივისაგან. ბგერა კადრის გვერდით არის ჩაწერილი და მხოლოდ მცირედ აპატარავებს კადრს. მეტყველ კადრების პროექციის დროს სინათლე ბგერად გარდაიქმნება დამატებითი ხელსაწყოს ფოტოელემენტის დახმარებით, რომელიც ბგერის ფოტოგრაფიას ელექტრულ რყევებად გარდაქმნის. ელექტრო-რყევანი ეკრანთან დადგმულ რეპროდუქტორით გადმოიცემიან. ის გარემოება, რომ ბგერის ფოტოგრაფია და კადრი ერთსა და იმავე ლენტზეა მოთავსებული უზრუნველჰყოფს სურათისა და ბგერის სრულ თანხდენილობას გადაღების დროს. თავის თავად ცხადია ატელიეში არავითარ გარეშე ხმაურობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ამიტომაც საამისო ატელიეში სრული სიჩუმე უნდა სუფევდეს. ჩვეულებრივი გადაღების დროს იუპიტერები ხმაურობს და ამიტომაც მათ მაგივრად ნახევარ ვატიან ნათურებს ხმარობენ. ნათურების სინათლის ძალა ათას და ათი ათას სანთელს უდრის. გადაღების დროს რეჟისორი მსახიობებს სათანადო შენიშვნებს აძლევს სხვა და სხვა ფერის სასიგნალო ნათურებით და გაშუქებულის წარწერებით.

ამჟამად უკვე შესრულებულია პირველი საცდელი გადაღებანი მეტყველი კინოს საბჭოთა აპარატურის შემწეობით და მალე მოვისმენთ როგორ დაილაპარაკებს კინო-ეკრანი.



---

## განიარაღების კონფერენციაზე

### ფიცი მწამს



ბოლო მა ვირვებს

---

# იუმორი

### მონადირეთა კავშირის ტირში

— შეხედე, სანდრო ინაშვილი რა კარგა ისვრის ტირზე?

— მერე რა არის აქ გასაკვირველი? ერთი ასჯერ მაინც ეყოლება ლენსკი მოკლული ევგენი ონეგინში... ვერ ისწავლიდა თუ!

### სიყვარული და სიძულვილი

— ასე, ჩემო შვილებო, იესო ქრისტემ ბრძანა, „გ ყვარ ეთ ყველანიო!“.

— მ შ, მამილო, რატომ გეჯავრება საბჭოთა ხელისუფლება?

### თავის თავი თვითონ გასცა

— იცი, ჩვენი ბუღალტერი ეკლესიაში დაიარება.

— მერე შენ საიდან იცი?

— მე იმას ყოველ კვირაში ვხვდები იქ.

### რ ჩ ე ვ ა

— კაცო, დაწოლილი ნუ კითხულობ, მავნებელია!

— ეჰ, აგერ იმ დღეს ფეხზე მდგომმა წავიკითხე ჩვენი კედლის გაზეთი და სულ ნერვები ამეშალა.

### გ ა მ ო ც დ ი ლ ი

— საიდან იცის ამ ჩვენმა დაწინაურებულმა გამგემ ასე კარგად ჩვენი დაწესებულების საქმე.

— ორი წელიწადი დადიოდა რაღაც ცნობის მისაღებად და ისწავლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა